პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცრამეტის დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 29 მარტი, 1950 წ. № 67 (6627). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

სასოფლო საბჭოების საბრძოლო ამოცანა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
გ. სახარულიძე — ლენინ-სტალინის პარტიის IX ყრილობა (მე-2 გვერდი).
ამიერკავკასიის მოძველ რესპუბლიკებზე (მე-3 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
გაბედაზოგადოდ და გაბედავრცელოთ კოლექტიური აგიტაციის გამოცდილება — „კულტურა ი ეიზნის“ 21/III მოწინავე (მე-3 გვერდი).
თბილისის საქალაქო მეფეთმდლოგებზე (მე-3 გვერდი).
კრიზისი და ბიგზოიოგრაფია (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სასოფლო საბჭოების საბრძოლო ამოცანა

ᲓᲐᲓᲒᲐ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამეშაოთა პასუხსაგები პერიოდი. საყოფელურნეო სოფელში დღითიდღე ძლიერდება ხენა-თესვა, ბალ-ვენახებისა და პლანტაციების ბარვა, ნიადაგში სასუქის შეტანა და სხვა სამეშაოები. ახლა ეს არის მთავარი, ამაზეა გამაჯილებული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება პარტიისა და მთავრობის ცნობილ დადგენილებაში „საგაზაფხულო თესვისთვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება და მისი წარმატებით ჩატარება აპკაძად სასოფლო საბჭოების მთავარი ამოცანაა. სსრ კავშირის ომდელი სიბეჭის ახლახან ჩატარებულა არჩევნებმა ცხადყო საკოლმეურნეო სოფლის მტკიცე დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ლისახული ამოცანების შესასრულებლად. საბჭოთა მუშაკების მოვალეობაა მშრომელთა ეს წარმატებულობა, მათი აქტივობა და ორგანიზებულობა მიმართონ საგაზაფხულო თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისაკენ.

სასოფლო საბჭოს ძალა მასებთან, კოლმეურნეებთან მის განუყოფელ კავშირშია. სადაც ეს კავშირი მტკიცე და მრავალმხრივია, სადაც საბჭოს მუშაკები არ კმაყოფილდებიან იმით, რომ იცნობდნენ და წარმართავდნენ მხოლოდ კოლმეურნეობის თავჯდომარეთა მუშაობას, სადაც საბჭოს მუშაკები მთავარ ყურადღებას თვით კოლმეურნეებთან მუშაობას უთმობენ, იქ მეტი წარმატებებია. სასოფლო საბჭოს მუშაობაში მთავარი ის არის, რომ მან ყოველმხრივ განაკითაროს საკოლმეურნეო დემოკრატია, გააძლიეროს თავისი გავლენა კოლმეურნეთა მასებზე. მისაზანია ის მოწინავეე სასოფლო საბჭოების [illegible] ლეობას იღებენ ამა თუ იმ კოლმეურნეობაში საერთო კრების მოწვევის საქმეში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და ჩატარების საკითხების განსახილველად. ასეთ კრებებზე უნდა ხდებოდეს საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გაცნობა, ეწყობოდეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოხსენებანი, კოლმეურნეებს ფართოდ უნდა ეძლიოდეთ ახსნა-განმარტება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მათს საბრძოლო ამოცანებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“ ნათქვამია, რომ „პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისადმი, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისადმი, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებისადმი, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება მუშაობაში და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე მიაღწიონ 1950 წლის სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას“.

აქედან ცხადია სასოფლო საბჭოების მთავარი ამოცანაც — ხელი შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო საბჭოებს მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. შარშან გაზაფხულზე ყკარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭოს თანამშრომთა მთელს რესპუბლიკაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის. ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების ახალი ღონისძიებანი, კოოპერაციებთან სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცება. სასოფლო საბჭოებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელშიც მრავალი ათეული საბჭო ჩაება, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სასოფლო საბჭოები თავიანთ მუშაობაში იყენებდნენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მრავალ ფორმასა და მეთოდს, იწვევდნენ სასოფლო საბჭოების სპეციალურ სესიებს ხენა-თესვის წარმატებით ჩატარებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესამუშავებლად; ასეთ სესიებს, როგორც წესი, წინ უძღოდა ფართო მოსამზადებელი მუშაობა: ტარდებოდა კოლმეურნეთა კრებები ან თათბირები, მასობრივად ეწყობოდა კოლმეურნეობათა შემოწმება თესვისათვის მზადყოფნის საკითხზე, სასოფლო საბჭოების დეპუტატები და აქტივისტები ეცნობოდნენ საკოლმეურნეო ბრიგადების მუშაობას, ინვენტარის რემონტის მიმდინარეობას, თესლეთ უზრუნველყოფის მდგომარეობას და სხვა. ისინი ავლენდნენ ნაკლოვანებებს და აქცევ ძალისგენნენ რჩევა-დარიგებას, თუ რა ღონისძიებებით უნდა გამოესწორებინათ შემჩნეული ნაკლოვანებანი. ამეიათი არ ყოფილა ისეთი მაგალითიც, როცა დეპუტატები და აქტივისტები კოლმეურნეებთან ერთად ადგილზე ასწორებდნენ ამ ნაკლოვანებებს. გასაგებია, რომ ასეთი მუშაობით ბევრი კარგი რამ გაკეთდა და საქმეც წინ წავიდა.

საჭიროა, რომ ფინანსური გამოცდილება ახლაც გამოიყენონ ჩვენმა სასოფლო საბჭოებმა, შემატონ მას ახალი, რაც წლის მანძილზე დაგროვილს მოწინავე ადამიანებმა და მოიპოვონ მორიგი წარმატებანი სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების შემდგომ განვითარებაში.

კვლავ ახალი ძალით უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო ხენა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. სასოფლო საბჭოებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ ამ შეჯიბრებას. ეს მათი სპატიო მოვალეობაა. უნდა მივაღწიონ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაებაონ კოლმეურნეები, ტრაქტორისტები, ბრიგადიერები, ბერგოლერები, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტები, დავოსაზმით და აეამოქმედთ მასები ხენა-თესვის მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისა და მინდვრის სამეშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ამავე დროს სასოფლო საბჭოებმა უნდა შეუწყონ ხელი სოფლის მეურნეობის ნოვატორთა და წარჩინებულთა გამოცდილების განზოგადებას და ყველა კოლმეურნეობაში გადატანას.

სასოფლო საბჭოებს ამ პასუხსაგები და სპატიო ამოცანების შესრულებაში ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოთა ალმასყოფილება. საჭიროა პერიოდულად ეწყობოდეს სოფლსაბჭოების მუშაკთათვის სემინარები. მათ უნდა აცნობონ ინ საბჭოთა მუშაობის გამოცდილებას, ხელმძღვანელობდნენ ოპერატიულად. რაისაბჭოს ალმასყოფილ ხელმძღვანელი მუშაკები მოვალენი არიან „ადგილზე ჩასვლისას გვერდი კი არ ეჭაონ სასოფლო საბჭოებს, როგორც ეს ხდება ზოგიერთ რაიონში, არამედ სოფლისა და კოლმეურნეობის საკითხებს წყვეტდნენ მათი აქტიური მონაწილეობით და ამით ამაღლებდნენ სასოფლო საბჭოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, როლსა და ავტორიტეტს.

მხოლოდ ამ გზით უზრუნველყოფენ სასოფლო საბჭოები მათთვის დაკისრებული სერიოზული ამოცანების პირნათლად შესრულებას.

Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

უაღრესად დიდია ა. მ. გორკის თხზულებათა პოპულარობა. მისი უბადოესი ლიტერატურული მემკვიდრეობა: რომანები, მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტიკა ფართოდ ხელმისაწვდომია მილიონობით მკითხველისათვის. საკავშირო წიგნის პალატის ცნობით, ა. მ. გორკის წიგნები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გამოიცა 69 ენაზე 52 მილიონამდე ცალი ტირაჟით.

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ა. მ. გორკის თხზულებათა 30-ტომიანი კრებულის გამოცემას. ეს კრებული, მოიცავს დიდი ტირაჟით გამოდის, მოიცულობით ერთიორად აღემატება 1938 წლის გამოცემას. უკვე გამოვიდა პირველი ორი ტომი. ხელმოწერილია დასაბეჭდად მესამე ტომი, რომელშიც შეტანილია 1896-1899 წლებში დაწერილი თხზულებანი — „კაინი და არტემი“, „ამხანაგები“, „ოროვალოვი“, „ყოფილი ადამიანები“, „მალვა“ და სხვები. (საკ.ფილი).

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

★ ★ ★ ★ ★

СССР ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი სამეფოს პრეზიდიუმში შედგა მთავრობის ჯილდოების გადაცემა მასწავლებელთა დიდ ჯგუფისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სამეფოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ სსრ კავშირის უმაღლესი სამეფოს პრეზიდიუმის სახელით ნამსახურობისა და უმჯობესი მუშაობისათვის ორდენები და მედლები გადასცა თელავის, სიღნაღის, თიანეთის, წალკის, ტყიბულის, სამტრედიის, საგარეჯოს, ბორჯომისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მასწავლებლებს.

ლენინის ორდენი ამხ. ვ. ბ. გოგუამ გადასცა თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლის მასწავლებელს ე. გ. სავანელს, სიღნაღის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს ე. პ. ჯობეშვილს, წალკის რაიონის ავარანლის 8-წლიანი სკოლის დირექტორს ს. გ. ინორდანოვს, ტყიბულის რაიონის ცუცხვათის საშუალო სკოლის მასწავლებელს ვ. მ. ეროროლაძეს, გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის მასწავლებელს ე. დ. ხოსიტაშვილს, სამტრედიის რაიონის დაფნარის საშუალო სკოლის მასწავლებელს ნ. ს. ამაღლობელს, მაიაკოვსკის რაიონის დიმის საშუალო სკოლის მასწავლებელს ი. ი. ჩხეიძესა და სხვებს. ლენინის ორდენი გადაეცა სულ 21 კაცს.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა ჩხარის რაიონის ეწრის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს მ. ზ. აბელაძეს, თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს ო. ნ. დოლიაშვილს, ტყიბულის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს მ. ს. გეწაძეს, საგარეჯოს რაიონის მანავის საშუალო სკოლის მასწავლებელს კ. ს. ზამთარაძესა და სხვებს. შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა სულ 23 მასწავლებელს.

„სპატიო ნიშნის“ ორდენი მიეცა 29 მასწავლებელმა.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ გადაეცა 61 პედაგოგს და მედალი „შრომითი წარჩინებისთვის“ — 137 პედაგოგს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოიელინა მ. კ. გაჩეჩილაძე და ო. კ. სანიკიძე.

დასასრულ ამხ. ვ. ბ. გოგუამ დამსწრეთ მიულოცა მაღალი ჯილდოების და შემდგომი წარმატება უსურვა მუშაობაში. (საქლესი).

ᲡᲐᲘᲜᲙᲣᲑᲐᲒᲠᲝᲠᲒ-ᲡᲐᲣᲠᲘᲜᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲔᲒᲣᲠᲘ

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წელს დიდებენ მტკვრის სანპპირიზე ააგო მძლავრი სარეკუბატორო-საგურინველო საღეური. საღეურო მუშაობას დაიწყებს ამ დღეებში და ამიშენელ ინდ შეუწყობს ხელს დიდძალი ქმ მომარაგების გაუმჯობესებას ფრაზელის ხორცეთით და კვერცხით.

ᲛᲣᲨᲔᲣᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲒᲝᲠᲨᲘ

ქალაქ გორში სტალინის სახელობის პროსპექტზე შენდება შენობა მუზეუმისათვის. მუზეუმში გამოფენილი იქნება ფოტომასალები, რომელნიც ასახავენ დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲗ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲯᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲝᲠᲗᲝᲭᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ-ᲕᲐᲓᲠᲝᲜᲨᲔᲛᲙᲐᲛᲗᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

თბილისის სტალინის სახელობის ორთოქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსპოვებლად გადაწყვიტა გეგმის გადამტკიცებთ გამოუშვას და ლოკომოტივთა პარკს შეატოს 2 ბაჯანსაღებელი ორთოქლმავალი.

სამსმენელ საამქროს კოლექტივმა, რომელმაც იანვარ-თებერვალში გეგმის გადამტკიცებთ 60.000 მანეთის პროდუქციი მოგვცა, გადაწყვიტა პირველი 8 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება. ამ ვალდებულების განსაზღვრელად მეფუძნენ მთელ რიგ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებას. სამქროში უკვე დაიწყეს ორთოქლმავლის ცილინდრის დგუშების და მკეთოსის ჩამოსხმა. ამ ნაწილების მეშვეობით ფალბრიკაციის ტაბანოზეკეებმა. სახელოვნებამ მეფფლიმ ჯ. ილეთიძემ და ვ. გამხუაშვილმა, რომელებმაც 260 პროცენტით შეასრულეს ნიავთ-თებერვლისა და წარმატებით ასრულეს მარტის გეგმის, იკიარეს სამამადან ვანაღდოს პირილის დავალება. სტახანოველმა მეფალიმემ თ. ლართქიფანიძემ გადაწყვიტა აპრილში ორნახევარი ნორმა გამოიმუშაოს, მექანიკური საამქროს მბურღავმა ე. ბერიაშვილმა ვეგმის 300 პროცენტით შესრულება იკისრა. ასეთივე ვალდებულებები აიღეს ხარატმა ვ. ბაისოფაშვილმა, მეშველ რ. კოსაშვილმა, მემფლეე ვ. სადზიკოვმა, ბანგრეკმრელმა ეკატერინე ხუბულურმა და სხვებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲑᲖᲔ

შეუნელებლივ ძლიერდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება ტემპი საქართველოს რკინიგზის ზაზებსა და უტანებზე.

ნიკიფორეს სალანდაგო დისტანციის კოლექტივმა, რომელსაც თებერვალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებიანის მოპოვებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა, საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა მარტსა და აპრილში უზრუნველყოფილ კიდევ უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება, შეინარჩუნოს მიღებული სპატი ჯილდო, გარდაბნისა და კუთხის სალანდაგო სოსტატოტიები გადადაკეთოს სანიმშო სოსტატოტად და საკუთარი ძალებით გაამენოს მცენარეები ამ სოსტატოტის ფარგლებში არსებულ პლატფორმებთან.

შეუჯიბრების გაშლის შემდეგ პირველ ხუთდღიურში მუშაობის საეკუთვნო მაჩვენებლები აქვთ გზის ოსტატს ე. ფეტკარაძეს და მელიანდაგეთა ბრიგადიერს ნ. ათუაზაშვილს.

* * *

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის პირველი დღეებიდანვე სანამუშოდ მუშაობს ქუთაისის საელექტრო დეპოს მოწინავე მემანქანე ამხ. ბელაძე, რომელმაც 21 მარტს ტაბელიდან წამოიყვანა ქვანახშირით დატვირთული ძმიე წონის ბატარეები.

მატარებლის მოსსახურე მთავარი გამცილებლის ამხ. ობოლაძის და მბლეველი საეგონო ოსტატის ამხ. თოდაძის კარგი მუშაობის შედეგად ქვანახშირის ეშელონი დანაშნულების სადგურზე მიეანილი იქნა გრაფიკით გათვალისწინებულ დროზე 20 წუთით ადრე.

* * *

სამტრედიელმა რკინიგზელებმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს: 10 წუთით შეამცირონ მატარებელთა ფორმირებისა და დამოსათვის დაწესებული დრო, ყოველ დღე-დამეში უზრუნველყონ თითო მატარებლის გაგზავნა საგარანტიო მარკით, მიაღწიონ დატვირთვის ნორმა ფარგლებში ოთხი თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, ვალმეკონენ სატვირთო ოპერაციებზე მუშაობა და აპრილში მიაღწიონ ოთხით დატვირთვა-გადმოტვირთვის საღლეფიანი დავალებათა შესრულებას სულ ცოტა 40 პროცენტით.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ 4 ᲗᲕᲔᲨᲘ

ᲩᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). სურამის კირის ქარხნის კოლექტივი ეროსულოგრად ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხნის მოწინავე ადამიანებმა იკისრეს პირველი მაისის დღესასწაულისათვის უზრუნველყონ კირის გამოწვის ნახევარი წლის გეგმის შესრულება, მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდებას საშუალოდ 20 პროცენტით, გამომწვარი კირის თვითღირებულება შეამციონონ 2 პროცენტით და ამავე დროს აპრილში მიაღწიონ 30 ტონა საწავაის ეკონომიას.

ამ ვალდებულებათა შესრულებაში პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ კირქვის კარიერებზე მომუშავე ბერდაველები ნ. ლომსაძე, ა. ქურდაძე, მ. ხაჩიე, ი. ფიროსმანაშვილი, კირის გამომწველი ი. ლომიძე და სხვები.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 25 მარტის ცნობებით)

ᲮᲕᲜᲐ

მარტის მეხუთე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა საგაზაფხულოდ მოხსულია 23.879 ჰექტარი, სულ 25 მარტისათვის კი—69.268 ჰექტარი, გეგმის 22,8 პროცენტი. დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული ბარდაბნის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, მარნეულის, ყვარლისა და სიღნაღის რაიონებში. ბოლნისის რაიონში გეგმა შესრულებულია 93,2 პროცენტით, თბილისის გარეუბნის რაიონში—84,2 პროცენტით, წულუკიძის—67, კაჭრეთის — 64,2, ობანისი — 51,1, თელავის—49, ცხაკაიას — 45, გურჯაანის — 45,3, ახმეტის — 44,5, გეგეჭკორის—44,8, ჩხოროწყუს—41,9, საგარეჯოს—36,5, მცხეთის რაიონში 25,8 პროცენტით.

ᲗᲔᲡᲕᲐ

25 მარტისათვის კოლმეურნეობებში დათესილია 27.702 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, რაც წინა ხუთდღიურში დათესილს 10.784 ჰექტარით აღემატება.

აფხაზეთში თესვის გეგმა შესრულებულია 0,9 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში—2,3 პროცენტით, წითელწყაროს რაიონში — 48,9, სიღნაღის—47,9, თბილისის გარეუბნის — 35,9, კაჭრეთის—34,2, ყვარლის — 28,6, საგარეჯოს — 22,5, ახმეტის—15,9, გურჯაანის — 14,9, ბოლნისის რაიონში — 12 პროცენტით. თესვა ჩადგება აგრეთვე მარნეულის, გარდაბნის, დმანისის, მცხეთის, ლაგოდეხის, თელავის, თეთრი წყაროს, ლუწმის, წალკის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბახარაძის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის რაიონებში.

თიბათვიანი მარცვეული თესვა დამთავრებულია 8 რაიონში, მათ შორის სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ბოლნისის, ლაგოდეხის და სხვ. რაიონებში. კაკრეთის რაიონის კოლმეურნეობებში დავალება შესრულებულია 90 პროცენტით, საგარეჯოს — 76,8, თბილისის გარეუბნის — 63,2, კასპის — 61,3, ხაშურის—51,1, მცხეთის—46,6, ქარელის — 46,4, გორის —30,3, ლუწმეთის—12,9, თეთრი წყაროს—11,8, დმანისის—2,3, წალკის რაიონში—0,8 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის თესვა დაწყებულია 4 რაიონში. ქარელის რაიონში დათესილია 234 ჰექტარი (გეგმის 15,6 პროცენტი), გორის — 84 ჰექტარი (7%), ხაშურის—10 (0,7%), კასპის რაიონში—8 ჰექტარი (0,7 პროცენტი).

მზესუმზირა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილია 12.962 ჰექტარი, გეგმის 76,2 პროცენტი. ვალდებულება შესრულებულია თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონებში. ეგმის შესრულებას მიუახლოვდნენ წითელწყაროს, სიღნაღის, კაჭრეთის, მცხოთის, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონები.

კარტოფილის თესვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 3,1 პროცენტით (დათესილია 583 ჰექტარი), აქედან აფხაზეთში დავალება მესრულებულია 15,7 პროცენტით, კაჭრეთის რაიონში — 78,9, ლაგოდეხის — 77, გურჯაანის — 74,3, სიღნაღის — 55, გარდაბნის—45, ბოლნისის რაიონში—42,3 პროცენტით.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲗᲔᲑᲘ

რ. მ. ᲯᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქობულეთის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,8 ჰექტარ ფართობზე 6.229 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

Ა. Ა. ᲒᲠᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ

ქობულეთის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლერი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.071 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

Გ. Ხ. ᲯᲘᲯᲮᲐᲫᲔ

ქობულეთის რაიონის ხუთუბნის სასოფლო-საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლერი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარ ფართობის ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

Დ. Მ. ᲜᲝᲩᲝᲚᲐᲫᲔ

ქობულეთის რაიონის ხუთუბნის სასოფლო-საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლერი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარ ფართობის ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ომსკის რკინიგზის ომსკის განყოფილების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ოქტომბრის რკინიგზის ელისენვაარის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა;

ვალუიკის რკინიგზის კვანძის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

ხარკოვის ოლქის ქ. ბოგოდუხოვის გუტიანსკის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ;

ეისკის თევზის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

კუიბიშევის ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის ზუსტი მექანიკის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლვოვის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ფერადი მეტალურგიის საწარმოთა დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის მექანიკური ინსტიტუტის პროფესორებმა, მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მაცივრის მრეწველობის ა. ი. მიქოიანის სახელობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

დასავლეთ ყაზახეთის მეცხოველეობის საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა;

ლენინგრადის მხატვართა ამხანაგობის წევრებმა;

გომელის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პოზილოვის" მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივმა;

ლატვიის კამვოლური ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა, ქ. რიგა;

ვოლოგდის ხორცკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. პოლტავის კავშირგაბმულობის მუშაკებმა;

პეტროვკის სახელმწიფო სასელექციო სადგურის მეცნიერ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მინსკის ოლქის მელორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „ინდუსტრიის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ლვოვის სახელმწიფო კაპელა „ტრემბიტას" კოლექტივმა;

ქ. მინსკის № 12 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა;

ვოლოგდის ოლქის გრიაზოვეცის რაიონის პიჩკარევოს სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

დაუგავპილსის მეხილეობა-მებოსტნეობის სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

სტალინგრადის ოლქის კიკვიძის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პრივოლიეს" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ბიკოვის საცდელი სადგურის მუშაკთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის კნიაზევოს შვიდწლიანი სკოლის პიონერულმა ორგანიზაციამ;

ტაგანროგის № 15 დაწყებითი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ბარგუზ-ტარბაგატაის სატყეო სამრეწველო მეურნეობის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

ყირგიზეთის სსრ საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „ალამედინის" მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

ხორეზმის ოლქის ხაზარასპის რაიონის პუშკინის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

კომბაინების ქარხანა „კომუნარის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინის ორდენოსან კომბინატ „როსტოვუგოლის" № 56 შახტის მაღაროელებმა;

ქ. ომსკის საოლქო და საქალაქო პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საზეიმო სხდომამ;

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს საქალაქო კომიტეტის მუშაკთა კრებამ;

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლის მსმენელებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ვლადიმირის საქალაქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) უმანის საქალაქო კომიტეტმა;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კურსკის მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მსმენელებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. რიგის ხისდამმუშავებელ კომბინატ „ვოლერის" მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

„გოსლესოპოლოსის" ურალის ტყისსაცავი სადგურის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინგრადის ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა;

კრასნოდარის სახელმწიფო რაიონული ჰიდროელსადგურის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვერხნედნეპროვსკის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

პერვომაისკის სამუხრუჭე ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

უკრაინის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის მარცვლეული მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

(გაგრძელება იქნება)

ჯავა ეჯიბრება ლენინგორს

ჯავაში შედგა სასოფლო საბჭოს აღმასკომებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების, მემინდვრეობის ბრიგადების ხელმძღვანელებისა და მერგოლურების რაიონული თათბირი.

რაიონის კოლმეურნეობებში 1950 წელს მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. თედეევმა. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ უდიდეს აღფრთოვანებაზე, რაც თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას სიტყვამ გამოიწვია რაიონის მშრომელებში. კოლმეურნეობები ავლენენ ახალ საშუალებებს, რაზმავენ ძალებს ლავრენტი ბერიას მიერ დასახული ამოცანის შესრულებისათვის, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა იმაზე, თუ პრაქტიკულად როგორ გაიშალა რაიონში მუშაობა მოსავლიანობის გაზრდისათვის.

თათბირზე ახალი ვალდებულებები იკისრეს სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა. სოფელ წრუს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. კოკოევმა ვალდებულება აიღო 13 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 20 ცენტნერი ქერი, ხოლო 80 ჰექტარზე 1949 წელს მიღებულთან შედარებით ხორბლის მოსავლიანობა გაზარდოს ერთიორად.

სოფელ ზემო როკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მართა პლიევამ თათბირის მონაწილეებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ აწყობენ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის ბრძოლას მისი თანასოფლელები.

სოფელ ტონტობეთის 13 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ კოჩიევმა თავისი კოლმეურნეობის წევრთა სახელით იკისრა კარტოფილის მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე აიყვანოს 150 ცენტნერამდე. ტონტობეთელებმა უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ ჯავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

თათბირის მონაწილეებმა, აიღეს რა ახალი ვალდებულებანი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ლენინგორელი კოლმეურნეები.

მეორე დღესვე, ლენინგორში შედგა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონული თათბირი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გალდავამ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რასაც რაიონის კოლმეურნეობები ახორციელებენ მოსავლიანობის ამაღლებისათვის, ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზეც, რომელთა უსწრაფესად გამოსწორება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ანდრო კუდუხოვმა თანასოფლელთა სახელით ვალდებულება აიღო 117 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 19 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანოს 30 ცენტნერი სიმინდი, 33 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, გეგმით გათვალისწინებული 200 ცენტნერის ნაცვლად, თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმას საშუალოდ ჰექტარზე გადააჭარბოს 2-3 ცენტნერით.

სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" თავმჯდომარემ სანდრო ბიტაროვმა ვალდებულება აიღო თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანოს 30 ცენტნერი სიმინდი (მთელ ფართობზე), თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმას საშუალოდ ჰექტარზე გადააჭარბოს 2-3 ცენტნერით.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს და მოსავლიანობის გადიდების ვალდებულებები იკისრეს სოფელ იკოთის კოლმეურნეობა „ლენინის გზით"-ის თავმჯდომარემ ალ. გვრიტიშვილმა, ლენინგორის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ალ. გიგაურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა აგრონომმა მარიამ ტეხოვამ, სოფელ ყანჩაეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ღუნაშვილმა, სოფელ წირქოლის კოლმეურნეობა „შრომის" პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ილია შერმადინმა.

ლენინგორელებმა ერთსულოვნად მიიღეს ჯაველთა გამოწვევა.

ჯავისა და ლენინგორის სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონული თათბირების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. თოფურიძე და საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. აკ. იმნაძე.

ვლ. ბელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში

აზერბაიჯანის სსრ

ნავთის მრეწველობის მუშაკთა შეჯიბრება

ბაქოს ნავთის მრეწველობის ტრესტ „ლენინნეფტის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივის ინიციატივით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისათვის ღირსეულად შესახვედრად, რაც მიმდინარე წლის 28 აპრილს სრულდება.

ამ ტრესტის კოლექტივმა იკისრა ნავთის ამოღების წლიური საწარმოო დავალება შეასრულოს ვადამდე და ქვეყანას დამატებით მისცეს სულ ცოტა 35 ათასი ტონა ნავთი, ტონა ნავთისა და გაზის თვითღირებულება შეამციროს 0,5 პროცენტით, აამაღლოს შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით.

— აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის თვითეულმა მოქალაქემ ეს სასიხარულო დღესასწაული უნდა აღნიშნოს ახალი საწარმოო წარმატებებით დიადი საბჭოთა კავშირის სადიდებლად — ნათქვამია ტრესტ „ლენინნეფტის" კოლექტივის მიმართვაში.

ბამბის უხვი მოსავლის მისაღებად

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა, მტს-ების მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა კარიაგინის, ყაზახისა და აგდაშის რაიონების მებამბეთა მოწოდებამ დიდ ფართობებზე 1950 წელს ბამბის უხვი სტალინური მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

რაიონები, კოლმეურნეობები და ბრიგადები, რომლებიც ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ-ახალ ვალდებულებებს კისრულობენ მოსავლიანობის გადიდებისა და სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ბამბის ხარისხის ამაღლების დარგში.

სომხეთის სსრ

ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის გეგმა. ერევნის გამოკლებით, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დაირგვება დაახლოებით ნახევარი მილიონი ძირი დეკორაციული ხე. 8,5 ჰექტარ ფართობზე გაშენდება ყვავილნარები. მოიკირწყლება 123 ათასი კვადრატული მეტრი და მოასფალტდება 100 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩები. გაკეთდება ახალი ტროტუარები 44 ათასი კვადრატული მეტრის საერთო ფართობით. კაპიტალურად შეკეთდება 59 ქუჩა. მოხდება 29 ქუჩის მთლიანი რეკონსტრუქცია.

ახალი სახლების მშენებლობის პარალელურად წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა არსებულ შენობათა ფასადების გასაფორმებლად. წელს გაფართოვდება წყალსადენის, აგრეთვე ელექტროგანათების ქსელი.

1950 წელს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია 32 მილიონი მანეთის დახარჯვა. კეთილმოწყობის სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობა. ყველა სამუშაოს დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ოქტომბერში.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრები

მიმდინარე წელს რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აღიჭურვება მრავალი მძლავრი ტრაქტორითა და უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. წლის განმავლობაში სომხეთის მტს-ები მიიღებენ 400-ზე მეტ დიზელის, თვითმავალ და ბაღ-ბოსტნის ახალ ტრაქტორს, 25 კომბაინსა და 1.600 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანას.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წელს დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადებას. მექანიზაციის რესპუბლიკური სკოლა წელს მოამზადებს 1.050 ტრაქტორისტს, კომბაინერსა და მასობრივი კვალიფიკაციის სხვა მუშაკებს, რაც სამჯერ მეტია შარშანდელზე.

ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის მშენებლობა

ერევანში, ლენინის პროსპექტის ბოლოს დაიწყეს გამოჩენილი სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმის მშენებლობა (პროექტის ავტორია არქიტექტორი გ. აგაბაბიანი).

ორსართულიანი შენობა მოპირკეთებული იქნება ნოემბერიანის ყვითელი ქვით. მთლიანად დაცული იქნება გეგმა და ოთახების ზომა იმ სახლისა, რომელშიც ცხოვრობდა ოვანეს თუმანიანი თბილისში.

სახლ-მუზეუმის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება.

ლენინ-სტალინის პარტიის IX ყრილობა

(30 წელი ყრილობის გახსნიდან)

კოლჩაკის, იუდენიჩისა და დენიკინის განადგურების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ხანმოკლე შესვენება მიიღო. როდესაც იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ თეთრგვარდიელთა ჯარები დამარცხდნენ, ინტერვენციამ წარმატება არ მოსდევს და საბჭოთა ხელისუფლება მთელ ქვეყანაში მტკიცდება, იწყეს საბჭოთა სახელმწიფოსადმი თავისი დამოკიდებულების შეცვლა.

„ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფომ უკვე ბოლო მოუღო ინტერვენციას და სამოქალაქო ომს. კიდევ რჩებოდა იმპერიალისტური პოლონეთის მხრით თავდასხმის საფრთხე. ჯერ კიდევ საბოლოოდ განდევნილი არ იყვნენ ინტერვენტები შორეული აღმოსავლეთიდან, ამიერკავკასიიდან და ყირიმიდან. მაგრამ საბჭოების ქვეყანამ დროებით შესვენება მიიღო და მას შეეძლო მეტი ძალები წარემართა სამეურნეო მშენებლობაზე. პარტიას ეძლეოდა შესაძლებლობა ხელი მოეკიდა სამეურნეო საკითხებისათვის". (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 311).

ამ ვითარებაში 1920 წლის 29 მარტს გაიხსნა ჩვენი პარტიის IX ყრილობა. ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის გასაშლელად. მაშინ ჩვენი პარტიის წინაშე იდგა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანა. ყრილობის მთელი ყურადღებაც სწორედ ამ საკითხებისადმი იყო მიპყრობილი.

IX ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა ქვეყნის უახლოესი ამოცანები მრეწველობის და ტრანსპორტის დარგში და განსაკუთრებით აღნიშნა სამეურნეო მშენებლობაში პროფესიული კავშირების მონაწილეობის აუცილებლობა. ყრილობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში ტროცკის სამხედრო-ბიუროკრატიულ ხაზს. ტროცკი მოითხოვდა მრეწველობაში არაკვალიფიციური შრომის მასობრივი მასშტაბით გამოყენებას იძულებითი ზომების გამოყენების გზით. ამ მავნებლურ ხაზს შეეძლო სახელი გაეტეხა ჩვენი პარტიისათვის, დაეკარგა მისდამი ნდობა მასების თვალში, ჩაეშალა სოციალისტური მშენებლობა მის პირველ ეტაპზევე. ყრილობამ სასტიკად დაგმო ტროცკის თვალსაზრისი და სოციალისტურ მშენებლობაში მასების ჩაბმის ძირითად საშუალებად აღიარა მასების კომუნისტური აღზრდის, მათი დარწმუნების, მათში შეგნებული დისციპლინის დანერგვის მეთოდი. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაეკისრათ პროფესიულ კავშირებს. „პროფესიული კავშირებისა და მათი ორგანიზაციის საკითხის შესახებ" მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებული, პროფესიული კავშირები განხილულია როგორც კომუნიზმის მშენებლობის სკოლა, რომელიც თავდადებით იბრძვის პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ეს რეზოლუცია წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის პროფესიული კავშირების გენიალურ საპროგრამო დოკუმენტს, რომლის საფუძველზე აღიზარდნენ და კვლავაც იზრდებიან მილიონობით საბჭოთა ადამიანები, წარმოების მეთაურები, ოსტატები, რიგითი მუშები.

„პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, — ნათქვამია რეზოლუციაში, — პროფესიული კავშირები კაპიტალისტთა გაბატონებული კლასის წინააღმდეგ სამუშაო ძალის გამყიდველთა მხრივ ბრძოლის ორგანოებიდან იქცევიან მმართველი მუშათა კლასის აპარატებად. პროფკავშირების ამოცანები უმთავრესად ორგანიზაციულ-სამეურნეო და აღმზრდელობითია. ეს ამოცანები პროფესიულმა კავშირებმა უნდა შეასრულონ არა როგორც განცალკევებულმა, ორგანიზაციულად იზოლირებულმა ძალამ, არამედ როგორც ერთ-ერთმა ძირითადმა აპარატმა საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელსაც კომუნისტური პარტია მეთაურობს. მხოლოდ ამ პირობით იქნება მიღწეული პროლეტარიატის დიქტატურის მთელი სისტემის უმეტესი სიმტკიცე და უმეტესი საწარმოო ეფექტი" (საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 337).

პროფესიული კავშირების შესახებ მიღებული რეზოლუციის უმნიშვნელოვანესი თავებია: პროფკავშირები და საბჭოთა სახელმწიფო; პროფკავშირები და კომუნისტური პარტია; პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო აპარატში პროფკავშირების მონაწილეობის ფორმები; პროფკავშირების მიმდინარე ამოცანები. ამ თავებში განხილულია პროფკავშირებისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხები. „არის რა კომუნიზმის სკოლა, — ვკითხულობთ რეზოლუციაში პროფკავშირების შესახებ, — და რგოლი, რომელიც პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ მასებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან მთლიანად ძველი ამქრული და პროფესიული შეზღუდულობისაგან, აკავშირებს პროლეტარიატის ავანგარდთან, კომუნისტურ პარტიასთან, პროფკავშირებმა უნდა აღზარდონ კულტურულად, პოლიტიკურად, ადმინისტრაციულად, დარაზმონ. კომუნიზმის დონემდე აიყვანონ ეს მასები, მოამზადონ ისინი კომუნისტური წყობილების შემოქმედთა როლისათვის, წყობილებისა, რომელსაც ქმნის საბჭოთა სახელმწიფო, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმა" (იქვე, გვ. 337).

ასრულებდნენ რა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, ბოლშევიკების პარტიის ბრძნულ მითითებებს, საბჭოთა ქვეყნის პროფესიული კავშირები გადაიქცნენ კომუნიზმის ნამდვილ სკოლად, მათ მილიონობით მშრომელები დააკავშირეს ჩვენს პარტიასთან, აღზარდეს ისინი, ჩააბეს სოციალისტურ მშენებლობაში.

IX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკითხს ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა პირველ რიგში ტრანსპორტის, სათბობის საქმის, მეტალურგიის აღმავლობას. ამ გეგმაში მთავარი ადგილი ეჭირა მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის საკითხს, რაც ლენინმა წამოაყენა, როგორც „დიადი პროგრამა 10-20 წლისათვის".

სოციალისტური ელექტროფიკაცია, რომლის გეგმის ძირითადი კონტურები უკვე IX ყრილობაზე იქნა მოხაზული, ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტური ელექტროფიკაციისაგან. საბჭოთა წყობილების პირობებში ელექტროფიკაცია არ ნიშნავს ცალკეული, ერთიმეორისაგან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან იზოლირებული ელექტროსადგურების მშენებლობას, როგორც ეს კაპიტალისტურ ქვეყნებშია. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ელექტროფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან, ერთიან სამეურნეო გეგმასთან, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავს და მიზნად ისახავს მოწინავე სამანქანო ინდუსტრიის ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნას. „ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციით, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ლენინი გულისხმობდა არა ცალკე ელექტროსადგურების იზოლირებულ აგებას, არამედ სახელმწიფოს მეურნეობის, მათ შორის მიწათმოქმედებისაც, თანდათან „გადაყვანას ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე", რომელიც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ელექტროფიკაციის საქმესთან" (თხზ., ტ. 11, გვ. 254).

ელექტროფიკაციის ლენინურ-სტალინური მიზანდასახულობანი საფუძვლად დაედო „გოელროს" გეგმას, რომელიც 1920 წლის ბოლოს საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობამ მიიღო. ლენინი მას ჩვენი პარტიის მეორე პროგრამად თვლიდა, ხოლო ამხანაგმა სტალინმა „გოელროს" უწოდა „ნამდვილად სახელმწიფო სამეურნეო გეგმა უბრჭყალებოდ" (თხზ., ტ. 5, გვ. 53).

„გოელროს" გეგმა ითვალისწინებდა 1,5 მილიონი კილოვატსაათის სიმძლავრის 30 დიდი ელექტროსადგურის აშენებას. მაგრამ ამ გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის პროცესში იმდენი შესაძლებლობანი გამოვლინდა, რომ მალე სინამდვილემ დიდად გადააჭარბა საგეგმო ვარაუდს. „გოელროს" გეგმა მისი მიღების 15 წლისთავზე თითქმის ერთისამად იქნა შესრულებული.

„ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ჩვენ სულ უკანასკნელ ადგილზე ვიდექით. ახლა ერთ-ერთ პირველ ადგილზე წამოვიწიეთ", — აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა 1933 წლის 7 იანვარს თავის მოხსენებაში პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ. დიდი სამამულო ომის წინ, 1940 წელს, ჩვენმა ელექტრომრეწველობამ დაახლოებით 50 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა, ე. ი. 25-ჯერ მეტი, ვიდრე რუსეთის ელექტროსადგურებმა 1913 წელს გამოიმუშავეს. ელექტრომრეწველობამ უდიდესი როლი შეასრულა დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ამჟამად ჩვენი ელექტრომრეწველობა განუხრელად მიდის წინ. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმით 1950 წელს იგი მოგვცემს 82 მილიარდ კილოვატსაათ ენერგიას, რაც 70 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს.

საბჭოთა ქვეყნის გამოცდილება გვეუბნება, რომ მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში იძლევა ელექტროფიკაცია განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის და ემსახურება მთელი ხალხის კეთილდღეობას. ამ გამოცდილებას ამჟამად წარმატებით იყენებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ.

IX ყრილობამ გამანადგურებელი პასუხი გასცა „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ანტიპარტიულ ჯგუფს, რომელიც გამოდიოდა მრეწველობაში ერთმმართველობისა და დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ და იცავდა უსაზღვრო „კოლეგიალობას" და უპასუხისმგებლობას მრეწველობის ხელმძღვანელობაში. „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ჯგუფი გამოხატავდა პროლეტარიატის დიქტატურითა და პროლეტარული დისციპლინით შეშინებულ ადამიანთა ფსიქოლოგიას. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს „სურდათ ცალკეული პირებისათვის „შეუზღუდველ" (ე. ი. დიქტატორულ) რწმუნებათა მიცემაში დაენახათ განდგომა კოლეგიალობიდან და დემოკრატიზმიდან და საბჭოთა ხელისუფლების სხვა პრინციპებიდან" (ლენინი). ისინი ერთპიროვნულ მმართველობას უპირისპირებდნენ მუშათა კოლექტიურ მმართველობას, იცავდნენ წარმოების დეზორგანიზაციას, მცონარობას, წამგლეჯობას. „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ჯგუფი, აღნიშნავდა ლენინი, გამოხატავდა მხოლოდ „წვრილბურჟუაზიულ თავგასულობას" და „წვრილმესაკუთრულ მისწრაფებებს".

„კოლეგიალობა, როგორც საბჭოთა მმართველობის ორგანიზაციის ძირითადი ტიპი,—ამბობდა ლენინი, — წარმოადგენს რაღაც ჩანასახურს, აუცილებელს პირველ საფეხურზე, როცა ახლის შენება გვიხდება. მაგრამ შემდეგ, ცოტად თუ ბევრად მტკიცე ფორმების დამყარებისას პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა დაკავშირებულია ერთმმართველობასთან, როგორც ისეთ სისტემასთან, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს ადამიანთა ნიჭის საუკეთესოდ გამოყენებას..." (თხზ., ტ. XXV, გვ. 17).

1918 წლის 29 აპრილს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერთმმართველობის გატარება დასახულ იქნა როგორც საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. „ახლა ჩვენ გვწევენ უკან, — განაცხადა ლენინმა IX ყრილობაზე „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ანტიპარტიული ჯგუფის მისამართით, — ...იმ საკითხში, რომელიც სრულიად რუსეთის ც. კ-ის მიერ დამტკიცებულია და განმარტებულია, სახელდობრ, რომ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმი სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთპიროვნულობას და დიქტატურას, რომ კლასის ნებას ზოგჯერ ახორციელებს დიქტატორი, რომელიც ზოგჯერ მარტო მეტს გააკეთებს..." (იქვე, გვ. 119).

„უნდა ვისწავლოთ, — განაცხადა ლენინმა იმავე სიტყვაში, — მშრომელი მასების მღელვარე, გაზაფხულის წყალდიდობასავით მჩქეფარე, ყველა ნაპირებიდან გადმომდინარე, მიტინგური დემოკრატიზმის შეხამება **რკინისებურ** დისციპლინასთან შრომის დროს, ერთი პირის, საბჭოთა ხელმძღვანელის, ნებისადმი **სიტყვაშეუბრუნებლივ დამორჩილებასთან** შრომის დროს" (იქვე).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებულ რეზოლუციაში პროფკავშირების შესახებ ნათქვამი იყო: „ერთპიროვნული მმართველობა არ შეიძლება დავუპირდაპიროთ მუშათა მმართველობას; პირიქით, ყველაზე უფრო ეკონომიური და ფართო მუშათა მმართველობა მოითხოვს ერთპიროვნულ მმართველობას... ერთპიროვნულობა გულისხმობს კომპეტენტური პირების შერჩევას და უზრუნველყოფს საქმიანობის და პასუხისმგებლობის მაქსიმუმს... ერთპიროვნულობა არ გამორიცხავს მუშათა ფართო მასების ჩაბმას მმართველობაში" (საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 340).

„დემოკრატიული ცენტრალიზმის" ანტიპარტიული ჯგუფის მიერ შექმნილ დაბრკოლებათა გამო ლენინი ყრილობაზე აცხადებდა, რომ პარტია ამ გარეწართა მიზეზით „კუს ნაბიჯით მიდის წინ", და თუ პარტია მათგან არ განთავისუფლდებოდა, იგი ვერ გადაწყვეტდა „მის წინაშე მდგომ სამეურნეო ამოცანებს" (თხზ., ტ. XXV, გვ. 119-120).

ყრილობამ პარტია შეამჭიდროვა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის გარშემო და გაანადგურა „დემოკრატიული ცენტრალიზმის" უბადრუკი ჯგუფი. ერთპიროვნული მმართველობის პრინციპი, რომელიც IX ყრილობამ საბოლოოდ დააფუძნა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მმართველობის სისტემაში, აღმოჩნდა ხელმძღვანელობის საუკეთესო ფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო მუშათა ინიციატივის უმაღლეს გაშლას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

IX ყრილობის დამთავრებიდან ერთ თვეზე ნაკლები ხნის შემდეგ საბჭოთა ქვეყანას თავს დაესხნენ პოლონელი პანები. ხანმოკლე შესვენება დამთავრდა. დაიწყო ანტანტის მესამე და უკანასკნელი ინტერვენცია, რომელიც 1920 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. IX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულება დროებით შეფერხდა. მათი განხორციელებისათვის ბრძოლა მთელი ძალით გაიშალა მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ.

IX ყრილობის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ ბრძოლისა და გამარჯვების სამი ათეული წელი განვლო. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი ისტორიული წარმატებები მოიპოვეს. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, აშენდა სოციალისტური საზოგადოება და შეიქმნა ყველა პირობა კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის. საბჭოთა ხალხი, რომელმაც გაიმარჯვა დიდ სამამულო ომში, წარმატებით ასრულებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინურ ხუთწლიან გეგმას. თავისი ბელადის, უკვდავი ლენინის საქმის გენიალური გამგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიემართება კომუნიზმისაკენ.

გ. სიხარულიძე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

პარტიული ცხოვრება

სოფლის მასწავლებლები—მოწინავე პროპაგანდისტები და აგიტატორები

კომუნისტი მასწავლებელი ს. ანესაშვილი სოფელ ხელთუბნის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან არსებულ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს. იგი ენერგიას არ იშურებს თავისი საპატიო მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. წრის მსმენელები ბეჯითად მეცადინეობენ და საფუძვლიანად სწავლობენ დიდი ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მარქსიზმის კლასიკოსების უკვდავი ნაწარმოებნი ხელთუბნელი მასწავლებლებისათვის იდეური წრთობისა და შრომითი აღფრთოვანების უშრეტი წყაროა. ისინი დაუღალავად სწავლობენ ლენინისა და სტალინის გენიალურ ნაშრომებს და ამის შედეგად წარმატებით ხელმძღვანელობენ პარტიული და კომკავშირული განათლების წრეებსა და სკოლებს, ხშირად კითხულობენ მოსახლეობაში ლექციებსა და მოხსენებებს. იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის მასწავლებელთა სისტემატური და ბეჯითი მეცადინეობა დიდად უწყობს ხელს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას. ხელთუბნის რვაწლიანი სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

პოლიტიკური განათლებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ სოფელ პატარა მეჯვრისხევის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლები. კომუნისტი მ. ხომასურიძე, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობს აღნიშნულ სკოლას, შეუპოვრად მუშაობს თავისი პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, სისტემატურად, მონდომებით სწავლობს მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს, კარგად ხელმძღვანელობს პოლიტსკოლას, კოლმეურნეებს უკითხავს მაღალხარისხოვან ლექციებსა და მოხსენებებს. ამხ. ხომასურიძე თავის გამოცდილებას სხვა მასწავლებლებსაც უზიარებს.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს. რაიკომის პარტკაბინეტი მათ ნაყოფიერ დახმარებას უწევს, პერიოდულად აწყობს მათთვის ლექციებს პარტიის ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ატარებს კონსულტაციებს, თეორიულ გასაუბრებებს. პედაგოგების პოლიტიკური დონის ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათს პროფესიულ ზრდასთან. მასწავლებელთა ნაწილი დაუსწრებლად იძენს უმაღლეს პედაგოგიურ განათლებას.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სერიოზული საშუალებაა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრასთან შექმნილი დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მუდმივმოქმედი სემინარი. სემინარზე იკითხება საინტერესო ლექციები და მოხსენებები პედაგოგიკის ისტორიისა და ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. ინსტიტუტში მოწყობილია აგრეთვე ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთა სემინარი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს რაიონის მასწავლებლებს მუშაობაში.

გორში სისტემატურად ეწყობა აგრეთვე სემინარები ისტორიის, ბიოლოგიის, სსრ კავშირის კონსტიტუციის, ლიტერატურის მასწავლებელთათვის. აღნიშნულ სემინარებზე განიხილავენ სწავლების მეთოდიკის საკითხებს, ისმენენ ლექციებს, მოხსენებებს პოლიტიკურ და სამეცნიერო თემებზე, ეწყობა გამოცდილების ურთიერთგაზიარება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

იზრდება მასწავლებელთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში. სოფელში ყველაზე პოპულარული აგიტატორები არიან ბერშუეთის საშუალო სკოლის მასწავლებლები ვ. დურგლიშვილი, ა. ბიძინაშვილი, სკოლის დირექტორი ს. აწკარუნაშვილი და სხვები. ისინი შინაარსიან და მიმზიდველ საუბრებს მართავენ კოლმეურნეებთან, აცნობენ მათ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, ესაუბრებიან კონკრეტულ ამოცანებზე, ეხმარებიან სოფლის კლუბს მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლაში.

მასწავლებლები მხურვალე მონაწილეობას იღებენ სოფლის ლექტორიუმების მუშაობაში. მისაბაძია ამ მხრივ სოფელ შავშვების რვაწლიანი სკოლის მასწავლებელთა მაგალითი. ამ სკოლის დირექტორი ამხ. ა. შალამოვი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. მან, როგორც რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების შტატგარეშე ლექტორმა, საინტერესო ლექციები წაიკითხა თემებზე: „ლენინი და სტალინი—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადები“, „ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ბატონყმობის საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, „პავლოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ოჯახის როლი ბავშვის აღზრდის საქმეში“ და სხვ. მასწავლებლები დ. წკრიალაშვილი, ე. სირბილაძე და სხვები მოწინავე აგიტატორები არიან, აქტიურად ეხმარებიან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას და სასოფლო საბჭოს აღმასკომს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის ზრუნვა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. მათ მეტი დახმარება უნდა გაუწიონ განათლების რაიონულმა განყოფილებამ და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომმა.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

თბილისის საქალაქო მშენებლობებზე

მარცხენა სანაპიროს მშენებელთა გამარჯვება

მარცხენა სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის მშენებელთა იმ უბნის კოლექტივმა, რომელიც ჩელუსკინელთა ხიდის მისასვლელთან მუშაობს (სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ინჟინერი შ. შენგელია), მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა.

ამ უბანზე საყრდენი კედელი მშენებლებს წლის ყველაზე მძიმე პერიოდში — ზამთრის სეზონში ამოჰყავდათ. საქმეს დიდად ართულებდა მდინარის კალაპოტის ფსკერის რელიეფი, რომელიც ამ ადგილას სიპ კლდეს ეყრდნობა და სიღრმეზე ჩაზნექილია. მდინარეში წყლის ცალ მხარეზე გადაშვება ასეთ ვითარებაში და ისიც ზამთარში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, მაგრამ ეს სიძნელე მშენებლებმა დაძლიეს.

დეკემბრის დასაწყისიდანვე შეუდგნენ მშენებლები მუშაობას, მოაწყეს წყლის გადასაშვები და მდინარისაგან საფარი დროებითი ჯებირი, შეუდგნენ საყრდენი კედლის საფუძვლის ჩასაყრელად მიწისა და კლდის სამუშაოებს. მიუხედავად არაჩვეულებრივი სიცივეებისა, მექანიზმების პარკის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად სამუშაოთა შესრულება სწრაფად განავითარეს მთელ იმ საძნელო მანძილზე, რომელსაც ეს უბანი შეიცავს.

მშენებელთა ამოცანა იყო უბნის ამ პასუხსაგებ ნაკვეთზე სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის ამოყვანა მდინარეში წყლის მაქსიმალური დონის მაჩვენებლამდე, რათა შემდგომი სამუშაოების წარმოება დამოკიდებული არ ყოფილიყო წყლის დონის ცვალებადობაზე.

ეს ამოცანა ამჟამად შესრულებულია. საყრდენი კედლის სიმაღლე უბნის მთელ საძნელო მონაკვეთზე აყვანილია სათანადო მაჩვენებლამდე და ახლა უკვე სავსებით შესაძლებელია აქ მუშაობის განგრძობა მიუხედავად მდინარეში წყლის დონის ცვალებადობისა. ამ დაკვრითი ხასიათის სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მებეტონეთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გიორგი ბურდული და იოსებ ლავრელაშვილი ხელმძღვანელობენ.

არანაკლები თავდადებით მუშაობდა ამ უბანზე სომხეთიდან თბილისის მშენებელთა დასახმარებლად ჩამოსულ მოხალისე მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც ბალიკ როსტომიანი ხელმძღვანელობს. დურგალთა შორის ოპერატიული მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდა გიორგი გორგიაშვილის ბრიგადა, რომელიც მებეტონეთა ბრიგადებს შეუფერხებლად უზრუნველყოფდა სამუშაო ფრონტით.

აპრილში ამ უბანზე მდინარეში წყლის დონის მოსალოდნელი ცვალებადობის გამო საყრდენი კედლის სამუშაოები შეჩერებული იქნება მაისის ბოლო რიცხვებამდე. ხიდთან მდინარეს დატოვებული აქვს „ჭიშკარი“, რომლითაც წყალი უნდა გადაიჭრას ფიზკულტურელთა პარკისათვის შემატებულ ახალ ტერიტორიაზე და მოსილოს იგი, რათა ამით შემდგომში გაადვილდეს პარკისათვის ნოყიერი მიწის ფართობის შექმნა და საჭირო არ გახდეს დიდი მოცულობის მიწაყრილის გაკეთება.

მაისის ბოლო რიცხვებიდან მარცხენა სანაპიროს საყრდენი კედლის მშენებლობა სამი ადგილიდან განახლდება. მშენებელთა ერთი ჯგუფი შეუდგება კედლის გაყვანას ელბაქიძის ხიდიდან ჩელუსკინელების ხიდის მიმართულებით, მეორე ჯგუფი—ჩელუსკინელთა ხიდიდან ელბაქიძის ხიდის მიმართულებით, ხოლო მესამე ჯგუფი ვერის ყოფილი ბორნიდან ორივე მიმართულებით. ელბაქიძის ხიდიდან ჩელუსკინელთა ხიდამდე საყრდენი კედლის გაყვანა შემოდგომამდე უნდა დამთავრდეს.

ამ სამუშაოთა შესრულება მნიშვნელოვნად არის გაადვილებული იმით, რომ ხიდის მახლობლად 120 მეტრის სიგრძეზე უკვე ამოყვანილი საყრდენი კედელი მდინარეს მარცხნიდან მარჯვნისაკენ უცვლის მიმართულებას.

დ. ლომთაძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მომზადებული შევხვდეთ გაზაფხულს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 10 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია წალკის რაიონიდან. კორესპონდენციაში გაკრიტიკებული იყო მტს-ისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ხარისჩარიშვილი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო წერილის განხილვა ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. „კომუნისტში“ მოთავსებული წერილი განიხილა აგრეთვე რაიკომის ბიურომ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

77,5 ტონა კარტოფილის გაფუჭებისათვის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის განიავებისათვის სოფელ ბეშთაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. კოსტანოვის საქმე გადაეცა პროკურატურას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. რაიკომის ბიურომ რჩევა მისცა სოფელ ხადიკის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებას თესლის ცუდად შენახვისა და გაფუჭებისათვის საწყობის გამგე ქ. დანაჩევი მოხსნას სამუშაოდან. სოფელ იმერის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბაგლიაროვი საგაზაფხულო ხვნა-თესვის სუსტად მომზადებისათვის, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ წალკის მტს-მა შეადგინა ტრაქტორების რემონტის გეგმა-გრაფიკი და დირექციამ მიიღო ზომები სარემონტო სახელოსნოში ორცვლიანი მუშაობის მოსაწყობად. დასახა ღონისძიებანი აგრეთვე სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი დიდ ქართველ რეჟისორზე

უშანგი ჩხეიძის წიგნი „კოტე მარჯანიშვილი—რეჟისორი და ხელმძღვანელი“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა, ქართული თეატრალური კულტურის თვალსაჩინო შენაძენს წარმოადგენს.

დიდი რეჟისორის, ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის საუკეთესო მოწაფე, სასცენო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი უშანგი ჩხეიძე უდიდესი სიყვარულით, ამავე დროს დიდი გემოვნებითა და ოსტატობით გვიხატავს თავისი სახელოვანი მასწავლებლის შემოქმედებითს პორტრეტს.

ეს წიგნი საინტერესოა არა მარტო თეატრის მოღვაწეებისათვის, რომლებიც მასში გაეცნობიან დიდი რეჟისორის მუშაობის გამოცდილებას, არამედ ფართო მკითხველისთვისაც. წიგნი დაწერილია მსუბუქი, სახოვანი ენით, მიმზიდველად და ცოცხლად.

უშანგი ჩხეიძის წიგნის მთავარი ღირსება ის არის, რომ ავტორი შეეცადა თანმიმდევრულად გადმოეცა რეჟისორის მუშაობის ძირითადი პრინციპები, მისი შემოქმედებითი მეთოდი.

„მისი მოწაფეების საქმეა მისაწვდომი და ხელშესახები გახადონ ის მხატვრული ხერხები, რომლებითაც გაკეთებულია მარჯანიშვილის საუკეთესო სპექტაკლები და გაარკვიონ, რა შეადგენდა მის დამახასიათებელ თვისებას, როგორც ხელოვანისას“,—წერს უ. ჩხეიძე.

ავტორი ყოველმხრივ განიხილავს მარჯანიშვილის საუკეთესო დადგმებს — „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, „ურიელ აკოსტას“, „ოტელოს“ და სხვებს, რომლებშიც მარჯანიშვილმა ბრწყინვალედ გამოავლინა თავისი მრავალფეროვანი რეჟისორული შესაძლებლობანი; მოგვითხრობს მსახიობთან რეჟისორის მუშაობის სისტემასა და თავისებურებაზე; შესანიშნავად გადმოგვცემს სცენიურ სახეთა გახსნის მის იშვიათ ნიჭს; საინტერესოდ მოგვითხრობს დიდ რეჟისორთან ჰამლეტის როლზე თავისი მუშაობის შესახებ.

წიგნში ცალკე თავები აქვს მიძღვნილი მარჯანიშვილის მუშაობას მხატვართან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან. ავტორი აღნიშნავს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეჟისორი სპექტაკლის ყოველ კომპონენტს.

უშანგი ჩხეიძე ხაზგასმით აღნიშნავს მარჯანიშვილის, როგორც რეჟისორის უდიდეს ღირსებას, რაც მდგომარეობდა ყოველი სახის აქტუალურად გახსნაში, თანამედროვეობის თვალსაზრისით. მისი შემოქმედებითი პრინციპის დამახასიათებელი ნიშანდობლივობა იყო ნათელი ფერები, ცხოველმყოფელი ოპტიმიზმი. მარჯანიშვილის არც ერთი სპექტაკლი, თუნდაც იგი ტრაგედია ყოფილიყო, არ დამთავრდებოდა ისე, რომ მაყურებელში არ აღეძრა ღრმა ოპტიმისტური, ჯანსაღი გრძნობა. რეჟისორის ამ თვისებას მშვენივრად აგვიწერს წიგნის ავტორი: „მძიმე ფიქრებით შეპყრობილს და მოდუნებულს არასოდეს არ გაუშვებდა მარჯანიშვილი მაყურებელს თეატრიდან. ის ფიქრობდა, რომ თეატრი, პირიქით, სიმხნევეს უნდა მატებდეს ადამიანს, უნდა ამაღლებდეს მის სასიცოცხლო ტონუსს, რათა განახლებული ენერგიით უბრუნდებოდეს მაყურებელი თავის ყოველდღიურ ცხოვრებას“.

უშანგი ჩხეიძის ნარკვევი კოტე მარჯანიშვილზე განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლოა ახალგაზრდობისათვის, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც მოვიდა თეატრში. ეს ნარკვევი მხატვრულ დასაყრდენს წარმოადგენს იმათთვის, ვინც მუშაობს მარჯანიშვილის მხატვრული გზის შემდგომ განსავითარებლად.

ლ. ბაგრატიონი

პიონერთა და მოსწავლეთა საყვარელი ადგილი

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქში ზღვასთან ახლოს გაშენებულია ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკი. პარკის სიამაყეს წარმოადგენს პატარა ტბა და მარადმწვანე და ძვირფას სუბტროპიკულ დეკორაციულ მცენარეთა ხეივნები.

ტბაზე, რომელიც პარკის ტერიტორიაზეა გაშლილი, 1947 წელს ჩაშვებულ იქნა გემი „პიონერი“.

ასეთი გემი საბჭოთა კავშირში პირველად ბათუმელმა პიონერებმა მიიღეს. გემს აქვს I და II კლასის სალონები და 80 ბავშვს იტევს. გემის კაპიტანია ქ. ბათუმის მესამე სკოლის მე-5 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე ვლადიმერ ჩიჩუა.

გემის ეკიპაჟი 20 ნორჩი მეთაურისა და რიგითი მეზღვაურისაგან შედგება.

1947 წელშივე გაკეთდა შესანიშნავი საბავშვო გასართობი ელექტროკარუსელი, 1949 წელს დამთავრდა პარკის ფიზკულტურის ქალაქის მშენებლობა ჩოგბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნებით.

წელს პიონერებს ფეხბურთის მოედანიც ექნებათ. ბათუმელ პიონერთა და მოსწავლეთა სიამაყეს წარმოადგენენ იალქნიანი ნავები, რომელთა რიცხვი ახლა 25-მდე გაიზარდა.

იალქნიანი ნავებით ტბაზე სეირნობა ქალაქის პიონერთა საყვარელი სპორტია. 1949 წლის ივლისი დაუვიწყარი იქნება მათთვის: პიონერებმა ნორჩმა აფროსნებმა მოაწყეს შორეული ლაშქრობა 4 იალქნიანი ნავით ბათუმი-ფოთი-ბათუმი. ამ მოგზაურობის მიზანი იყო მშობლიური მხარის შესწავლა და ნორჩ მეზღვაურთა გამოწრთობა.

წელს ნორჩი მეზღვაურები მოაწყობენ ახალ ლაშქრობას ბათუმ-სოხუმ-ბათუმის მარშრუტით.

პიონერთა სასპორტო ფლოტი წელს შეივსება ახალი სასპორტო „ტორპედოს“ სისტემის ბაიდარებით, რომლებსაც ლენინგრადიდან მიიღებენ.

პარკს ამშვენებს საზაფხულო თეატრის კეთილმოწყობილი შენობა. თეატრთან შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც 150 პიონერია გაერთიანებული. ანსამბლს დირიჟორობს ქალთა მეორე სკოლის მოსწავლე ელიკო ქუთათელაძე. თეატრში სისტემატურად ეწყობა სკოლების თვითმოქმედი წრეების გამოსვლები, ლიტერატურული და მოსწავლეთა კითხვა-პასუხის საღამოები.

განვაზოგადოთ და გავავრცელოთ პოლიტიკური აგიტაციის გამოცდილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიის გარშემო, მშობლიური და საყვარელი ამხანაგ სტალინის გარშემო მისი მონოლითური დარაზმულობის დიდებული დემონსტრაცია იყო. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა სრული და განუყოფელი გამარჯვება მოიპოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები აღინიშნა ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობით, ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღებით. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებებით აღფრთოვანებული მშრომელები გამსჭვალული არიან სურვილით — უმოკლეს ვადაში შეასრულონ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა — ერთისამად აამაღლონ, ომამდელ დონესთან შედარებით, ჩვენი მრეწველობის დონე. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ მასების პატრიოტულ აღმავლობას, წარმართონ იგი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების შემდგომი დაჩქარებისაკენ. ამისი უმნიშვნელოვანესი პირობაა მასებში პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერება.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა მოსახლეობაში დიდი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. მილიონობით აგიტატორი მშრომელებს უამბობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, განუმარტავდა სსრ კავშირის კონსტიტუციის პრინციპებს, სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. მოხსენებებსა და ლექციებს მშრომელთა წინაშე აკეთებდნენ და კითხულობდნენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. აქტივებდნენ თავიანთ მუშაობას კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი, წინასაარჩევნო აგიტაციაში ფართოდ იყო გამოყენებული ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, კინო.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ პოლიტიკური აგიტაციის წარმატებანი, კი არ შევასუსტოთ, არამედ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მშრომელთა შორის, დავრაზმოთ ისინი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად. სწორედ ასე იქცევიან მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და სხვა ოლქებისა და რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები.

საგიტაციო-პროპაგანდისტულმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ აღმავლობას, რაც ჩვენი წინსვლის დაუშრეტელი წყაროა. ამჟამად, აჯამებენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, საწარმოთა კოლექტივები კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს 1950 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა, მშრომელთა ტექნიკური ცოდნისა და პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლება ქმნიან შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების — საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გადიდების ამ საფუძვლების უმაგალითო შესაძლებლობას. გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, უფრო მტკიცედ ჩავაბათ ყველა მშრომელი სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისათვის, პროპაგანდა გავუწიოთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, წამოვწიოთ ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე, მივაღწიოთ ბრიგადების, საამქროებისა და საწარმოების კოლექტიურ სტახანოვურ მუშაობას, — ასეთია კონკრეტული შინაარსი პარტიული ორგანიზაციების საგიტაციო მუშაობისა ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ფართო პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებაში ნაკლებ პასუხსაგები ამოცანები როდია დასახული სასოფლო პარტიული ორგანიზაციების წინაშეც. სოფლის მეურნეობა შედის ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ პერიოდში—საგაზაფხულო თესვის პერიოდში. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მისი ჩატარების გაშლილი პროგრამა მოცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“. საჭიროა ფართოდ განვუმარტოთ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ეს დადგენილება, გავაძლიეროთ მათ შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სათავეში ჩავუდგეთ სოფლის მეურნეობის მშრომელების შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობას, წარვმართოთ იგი საგაზაფხულო თესვის წარმატებით მომზადებისა და ჩატარებისაკენ, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისა და ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესრულებისაკენ.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ-ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში მუდმივი საწარმოო ბრიგადების როგორც საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის განმტკიცებას. ბრიგადის საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებასთან ერთად აქ რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს პოლიტიკური მუშაობაც. აქ უნდა გაიგზავნონ აგიტატორთა საუკეთესო ძალები, რომლებმაც წარმატებით გამოიჩინეს თავი საარჩევნო კამპანიაში. ბრიგადა უზრუნველყოფილ უნდა იქნას გაზეთებით, წიგნებით, რადიოთი, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით. კრასნოდარისა და სხვა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება ცხადყოფს აგრეთვე, რომ ბრიგადაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებით მოწყობისათვის საჭიროა კულტურული, კარგად მოწყობილი საველე ბანაკების შექმნა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან დაკავშირებით უფრო მაღლდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი. პოლიტიკური მუშაობა სატრაქტორო ბრიგადებში საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში კრებებზე და საუბრებში მშრომელები გამოთქვამდნენ თავიანთ შენიშვნებს ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ, აღნიშნავდნენ ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში, შეჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი მათი აღმოფხვრისათვის. ყოველი პარტიული ორგანიზაციის ვალი და მოვალეობაა მიაღწიოს ამომრჩეველთა წინადადებების, მათი თხოვნებისა და სურვილების შესრულებას.

საარჩევნო კამპანიის დროს პარტიულმა ორგანიზაციებმა დააგროვეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაციის დიდი გამოცდილება. შეცდომა იქნებოდა, რომ არჩევნების შემდეგ ეს მუშაობა შეგვეწყვიტა. ყოფილ საარჩევნო უბნებში საგიტაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვადასხვა ფორმა შეიძლება და კიდეც უნდა გამოვიყენოთ მომავალში. ასე, წარსული საარჩევნო კამპანიების მაგალითისამებრ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციები ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, სტოვებენ საგიტაციო პუნქტებს. ამჟამად ამ საგიტაციო პუნქტებში, წითელ კუთხეებში მოსახლეობისათვის გეგმიანად აწყობენ მოხსენებებსა და ლექციებს პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო თემებზე. ამომრჩევლებთან ურთიერთობას არ წყვეტს აგრეთვე ბევრი აგიტატორი. ისინი საუბრობენ არჩევნების შედეგებზე, მოსახლეობას მოუთხრობენ წინასაარჩევნო დღეებში ამომრჩეველთა კრებებზე პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებზე.

ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ ბოლშევიკური აგიტაციის ის მაღალი დონე, რომელიც საარჩევნო კამპანიის პერიოდში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ახასიათებდა. ამისკენ არის მიმართული აგიტატორთა და პროპაგანდისტთა რაიონული და საქალაქო კრებები, რომლებიც მიმდინარეობენ ლენინგრადში, ლატვიის სს რესპუბლიკაში, იაკუტიის ასს რესპუბლიკაში, ველიკიე ლუკისა და სხვა ოლქებში, სადაც განიხილავენ საარჩევნო კამპანიის დროს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგებს და ბოლშევიკური აგიტაციის შემდგომ ამოცანებს. არჩევნების პერიოდში საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა დასკვნები უნდა გამოიყვანონ არსებული ცალკეული ნაკლოვანებებიდანაც, რათა ბოლშევიკური აგიტაცია აიყვანონ ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

აგიტაციის იდეური დონისა და ქმედითობის შემდგომი ამაღლება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს აგიტატორებსა და პროპაგანდისტებთან აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას, მუდმივ ზრუნვას იმისათვის, რომ პარტიული და უპარტიო აგიტატორები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ამის აუცილებლობას გვიკარნახებს ის გარემოებაც, რომ არჩევნების პერიოდში საგიტაციო მუშაობისათვის მოზიდული იყო კვლავ ათეულ და ასეულ ათასობით კომუნისტი და უპარტიო ბოლშევიკი წარმოების, სოფლისა და ქალაქის ინტელიგენციის მოწინავეთაგან. ესენი პარტიის ერთგული ადამიანები არიან, მაგრამ ზოგჯერ მათ კიდევ აკლიათ მასებში საგიტაციო მუშაობის გამოცდილება, უნარი—სწრაფად გამოეხმაურონ საჭირბოროტო საკითხებს. საჭიროა დავეხმაროთ მათ, რათა ნამდვილი ბოლშევიკი აგიტატორები გახდნენ.

ამჟამად, როცა სოციალისტურ შეჯიბრებაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ბრძოლა წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა აგიტატორთა და პროპაგანდისტთა ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებამ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მათთვის ვკითხულობდეთ ლექციებს, ვაწყობდეთ სემინარებს, ვბეჭდავდეთ სტატიებსა და კონსულტაციებს გაზეთებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებზე, ტექნიკურ პროგრესზე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და საწარმოებში, საწარმოთა ეკონომიკასა და წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილებაზე.

აგიტატორებსა და მომხსენებლებს ესაჭიროებათ აგრეთვე სერიოზული დახმარება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებშიც. საჭიროა სისტემატურად მოვაწყოთ ლექციები და კონსულტაციები აგიტატორებისა და მომხსენებლებისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღწევებზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ზრდაზე. აგიტატორებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია აქტუალურ საკითხებზე პასუხის გაცემას გაზეთებში, „აგიტატორის ბლოკნოტებში“, რადიოთი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებას. ეს გამარჯვება მათ მიაჩნიათ ახალ წარმატებათა საწინდრად ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

„კულტურა ი ჟიზნის“ 21/III მოწინავე.

აბანოებისა და საპარიკმახეროების მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

სერიოზული ამოცანები დგას თბილისის აბანო-საპარიკმახეროთა ტრესტის წინაშე (ტრესტის მმართველი რ. ფირუმოვი). აბანოების, საპარიკმახეროების, სამრეცხაოების გამართული მუშაობით დიდად არიან დაინტერესებული მშრომელთა ფართო მასები. უნდა ითქვას, რომ აბანო-საპარიკმახეროების ტრესტის ქსელს ჯერ კიდევ ვერ გარდაუქმნია მუშაობა მშრომელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების შესაბამისად.

ვერის აბანო საქვაბე განყოფილების მოუმზადებლად ამუშავებისა და საწვავის უქონლობის გამო ხშირად ცდება. ქვაბები ისეა დადგმული, რომ არ ხდება სრული წვა, რაც ნახშირის დიდ გადახარჯვას იწვევს. საქვაბე განყოფილებაში ვენტილაციის მოუწყობლობის გამო მუშაობა უძნელდებათ ცეცხლფარეშებს. მოუგვარებელია ცივი და ცხელი წყლის შეზავების საქმე. მამაკაცთა საერთო განყოფილებაში არ არის თერმომეტრი, კაბინებში—რეზინის ან ხის დასადგომი, წყლის ტემპერატურა დაბალია. უმოქმედოთაა აბანოსთან არსებული სამრეცხაო.

№ 8 აბანოში უყურადღებოდ არის მიტოვებული ქალთა საერთო განყოფილების მოსაცდელები. მოსაცდელი ოთახების მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი თანხა სხვა დანიშნულებაზე გამოუყენებიათ. № 10 კაბინის დერეფანი ძვირფასი კაფელით დაფარეს, თვით კაბინი კი გაუმართავად მიატოვეს.

№ 7[2] აბანოში სრულიად გამოუყენებელია ერთი ოთახი, სადაც უმოქმედოდ დგას 4 შხაპი. უსუფთაობაა № 6 აბანოში (დირექტორი გ. აკოფოვი). აქ ქალთა საერთო განყოფილება სამრეცხაოდ არის გადაქცეული.

ქვაბის უქონლობის გამო ფერხდება № 2 სამრეცხაოს მუშაობა, მაშინ როცა ამ სამრეცხაოს ქვაბი უქმად დგას № 8 აბანოში. ორთქლის უქონლობის მიზეზით № 10 აბანოს მუშაობაც ფერხდება.

სახარბიელო მდგომარეობა არც საპარიკმახეროებსა და ტრესტთან არსებულ სადეზინფექციო-სამრეცხაო საწარმოშია. აქ არ გააჩნიათ საპარიკმახეროთა მომსახურების გრაფიკი, მოუწესრიგებელია დეზინფექცირებული ფუნჯებისა და სალფეთქების მიწოდებაც. ამიტომ ხშირად ერთსა და იმავე ფუნჯს ხმარობენ კლიენტების მომსახურებისას. საპარიკმახეროებში დეზინფექცირებული ფუნჯების ნაკლებობას ისიც იწვევს, რომ ნაცვლად საჭირო 20 ათასი ფუნჯისა, ხმარებაშია მხოლოდ 10 ათასი. პარიკმახერთა უმეტესობა სხვადასხვა კლიენტის მომსახურებისას უდეზინფექციო ფუნჯს იყენებს და დეზინფექცირებული ფუნჯის საფასურს იღებს. ერთ კაცზე გათვალისწინებული 10 გრამი ოდეკოლონის ნაცვლად ისინი 2-3 გრამს ხარჯავენ, საფასურს კი 10 გრამისას ახდევინებენ.

№ 6 აბანოსთან არსებულ წერტში, რომლის გამგეთ ი. ოქროკვერცხლოვი მუშაობს, ანტისანიტარიაა. ინვენტარი მოუვლელია, არ იყენებენ სტერილურ ფუნჯსა და სალფეთქს. № 3 წერტში (გამგე ს. მანუკიანი) ერთი და იგივე ფუნჯით მრავალ მოქალაქეს ემსახურებიან. ამას წინათ აქ 6 დღის განმავლობაში 558 კაცს მოემსახურნენ, სტერილური ფუნჯი კი მხოლოდ 48 ცალი დახარჯეს. ასე ხდება ტრესტის საპარიკმახეროთა უმეტესობაში.

აბანოებისა და საპარიკმახეროთა ზოგი ხელოსანი სავალდებულო მომსახურებას არ უწევს კლიენტს. ასეთი რამ მხოლოდ იმით აიხსნება, რომ დანაშაულისათვის მოხსნილ მუშაკებს თვით ტრესტის ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ აღადგენს, ან რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა ღებულობს სამუშაოზე. მაგალითად, მეგანჯინე მერი სურმავა სისუფთავის დაუცველობის, საერთო განყოფილებაში ზედმეტ კლიენტთა შეშვებისა და სხვა დარღვევებისათვის სამუშაოდან მოხსნეს, მაგრამ მალე კვლავ აღადგინეს. საპარიკმახეროს № 1 წერტში ხელოსანი თ. გოგბერიძე, № 3 წერტში მერაბოვი და ლ. სარაჯევი საპარიკმახეროს შემოსავლის მითვისებისათვის მოხსნეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აღადგინეს. სამუშაოდან მოხსნეს და კვლავ აღადგინეს აგრეთვე მოლარე ე. ამირხანოვა, მეგანჯინე ე. კაჭარავა და სხვები.

ეს ნაკლოვანებანი ტრესტის მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობისა და კონტროლიორების მოუქნელი მუშაობის შედეგია.

კლიენტთა მოტყუებას და ზედმეტად ფულის წაგლეჯას აქვს ადგილი არტელების — „წითელი განთიადის" (გამგეობის თავმჯდომარე მ. დარჩია) № 7 წერტში (გამგე ა. მჭედლიშვილი) და „შეკავშირების" (გამგეობის თავმჯდომარე ა. სულაძე) № 11 (წერტის გამგე ვ. კოცოიანი) და № 2 წერტებში.

მთელი რიგი ნაკლოვანებანი აქვს ბალნეოლოგიურ აბანოს (დირექტორი ბახუტაშვილი). აქ არ იცავენ საბანაო წყლის ტემპერატურას. აბანოს არა აქვს სამრეცხაო და საშრობი განყოფილებები. რადიატორებზე გასაშრობად გაფენილი ზეწრები გაშრობამდე მტვრიანდება და ხელახლა გასარეცხი ხდება. ადგილი აქვს ნახმარი ზეწრების სახელდახელო გაშრობას და ხელახლა გამოყენებას. ზოგან კაბინებში არ თბება რადიატორები. წყლის სარეგულაციო ონკანები მოშლილია, მილები გამსკდარია და შესაკეთებელია. კაბინებში არ არის საჯდომები, არ ხდება ვენტილაცია. კაბინებს არა აქვთ საკეტები. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად აბანოს ადმინისტრაცია არ ზრუნავს. შემოწმებისას აბანოს ინჟინერი ასტვაცატუროვი სამუშაო ადგილზე არ იყო. მის შესახებ განაცხადეს, ჩვენს ინჟინერს ხელფასის დარიგებამდე ვერ ნახავთო.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა ადგილი აქვს აშკარა ბოროტმოქმედებასაც. აბანოს დირექტორმა და ინჟინერმა ელექტროსაათების შესაკეთებლად თავიანთი ნაცნობები — კერძო პირები მიიწვიეს, უწყისები შეადგინეს და 11.000 მანეთი გასცეს. ასევე კერძო პირებს შეაკეთებინეს ქვაბ საბერველი, რაზეც 12.489 მანეთი გასცეს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს, იბრძოლოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

რეიდის მონაწილენი:
ი. გივიშვილი
მ. ჯავახიშვილი
მ. შუგლაძე
გ. ხენგავა

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა

ქ. რუსთავის მცხოვრებთა რიცხვი ამ მოკლე ხანში საკმაოდ გაიზარდა, მაგრამ კომუნალური მომსახურების ზოგიერთი საკითხი ჯერაც მოუგვარებელია. მშრომელთა მოთხოვნილებას სრულებით ვერ აკმაყოფილებს ქალაქის აბანო სივიწროვის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ხშირად იგი წყლის ნაკლებობას განიცდის. დაწყებულია ახალი აბანო-კომბინატის მშენებლობა, მაგრამ მისი დამთავრება ჭიანურდება.

ასეთივე მდგომარეობაა პურის ქარხნის მშენებლობის საქმეშიც. ამ ქარხნის მშენებლობა ჩქაროსნული ტემპით დაიწყო, დამთავრდა სამშენებლო სამუშაოები, შინაგანი მოწყობილობის დამონტაჟება კი რატომღაც გააჭიანურეს. მოწყობილობის მთავარი ნაწილები უკვე დიდი ხანია ადგილზეა, საჭიროა მხოლოდ მონდომება და საქმისადმი პასუხისმგებლობა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ქალაქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა საჭიროა სათანადო ღონისძიებანი განახორციელონ.

მ. გოგსაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ფეხბურთის სეზონის გახსნა

26 მარტს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებზე თავი მოიყარა მრავალმა მაყურებელმა. ამ დღეს დედაქალაქის ფეხბურთელთა გუნდებმა გახსნეს 1950 წლის საფეხბურთო სეზონი.

მძლეოსნობის სხვადასხვა სახეში შეჯიბრების შემდეგ 2 საათსა და 15 წუთზე დედაქალაქის ფეხბურთელთა 19 გუნდი დაირაზმა პარადში მონაწილეობის მისაღებად. პარადის მონაწილე გუნდებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ფალავანდიშვილი, რის შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდების კაპიტნებმა აღმართეს ფეხბურთის 1950 წლის სეზონის გახსნის ალამი.

პირველად შედგა ამხანაგური მატჩი მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის სახლის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. პირველ ტაიმში თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გახსნის მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტები. მოსკოველებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა. მატჩის მეორე ნახევარში მოსკოველებმა მეორე ბურთი გაიტანეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0.

პირველ კალენდარულ მატჩში სეზონის გახსნის ჯილდოზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და თბილისის 35-ე სასპორტო სკოლის (მეორე შემადგენლობა) ფეხბურთელთა გუნდები. პირველი ტაიმი აღინიშნა ნორჩი სპორტსმენების შეწყობილი და აზრიანი იერიშებით. მათი დაცვაც მაღალ დონეზე იდგა. მატჩის მეორე ნახევარში კი თავი იჩინა სტუდენტთა ფიზიკურმა სიძლიერემ და მათ შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0. გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდებმა.

დებულების თანახმად თბილისის ფეხბურთის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ გათამაშებაში გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს გუნდების შეჯიბრებაში სეზონის გახსნის ჯილდოზე.

გათამაშება გასტანს 31 მარტამდე. შეხვედრები მიმდინარეობს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" და ლენინის სახელობის სტადიონებზე.

ა. გოგოლაშვილი

ჰოლანდიის და ინდონეზიის შეერთებული შტატების მთავრობებმა ცნეს ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობა

ჰააგა, 27 მარტი. (საკდესი). დღეს ჰოლანდიის მთავრობამ და ინდონეზიის შეერთებული შტატების მთავრობამ ცნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა.

დღეს ჰააგაში ჰოლანდიის მთავრობამ განუცხადა გომინდანელთა ელჩს, რომ იგი კავშირს წყვეტს ჩან კაი-შის ხროვასთან.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 27 მარტი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიამ ლაო-კაის პროვინციაში კვლავ დაიკავა დასახლებული პუნქტები ნამ-ლუოკი, ბა-ლანგი და კონ-ლუნგი, 200 მილზე ხაინის ჩრდილო-დასავლეთით. დემოკრატიული ძალების მხარეზე გადავიდა ასზე მეტი ვიეტნამელი ჯარისკაცი, რომლებიც ძალით ჰყავდათ გაწვეული საფრანგეთის ჯარში. ვიეტნამის ჯარებმა ბაკ-ნინის პროვინციაში (20 მილზე ხაინის ჩრდილოეთით) გაანადგურეს ფრანგთა საგუშაგოები დასახლებულ პუნქტებთან — ფუ-ჩონთან, წაო-ანთან და დონგ-ლისთან.

ფრანგ ხელისუფალთა ტერორი ვიეტნამში

შანხაი, 27 მარტი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, თებერვალში ფრანგმა ხელისუფლებმა ნამ-დინში ასობით ჩინელი მცხოვრები დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებათ, რომ პროტესტი განაცხადეს გომინდანელთა განდევნილი არმიის ნაშთების ვიეტნამში ყოფნის წინააღმდეგ, და ის, რომ მიესალმნენ ჩინელი ხალხის გამარჯვებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა ხელმოწერას.

თებერვლის განმავლობაში ფრანგმა ხელისუფლებმა დააპატიმრეს აგრეთვე ხაიფონგის ძალის მდებარე ჩო-ლოსტან 300-ზე მეტი ჩინელი მცხოვრები.

ბაო დაის მარიონეტული „მთავრობის" კრიზისი

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). მთელი რიგი გაზეთები იუწყებიან, რომ ბაო დაის მარიონეტული „მთავრობის" სამხედრო მინისტრი ფან ხონ კუტი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლე ტანი და ფიზიკური განვითარების მინისტრის მოადგილე იგივენ ტონ ხონგი გადადგომას აპირებენ. ამასთან დაკავშირებით მათ განაცხადეს, ბაო დაის „მთავრობიდან" გავდივართ, რადგან „მთავრობა ვიეტნამელ ხალხში არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობს". ამან, როგორც გაზეთები წერენ, საიგონის პოლიტიკურ წრეებში დაბნეულობა გამოიწვია.

ბონის მარიონეტული „მთავრობის" კატასტროფული ფინანსური მდგომარეობა

ბერლინი, 27 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის" კორესპონდენტი დიუსელდორფიდან იუწყება, რომ დასავლეთ გერმანიის სეპარატული „სახელმწიფოს" ბიუჯეტის დეფიციტმა ამ „სახელმწიფოს" არსებობის უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში 4 მილიარდ მარკას მიაღწია. ბონის ფინანსთა მინისტრმა შეფერმა აღიარა დასავლეთ გერმანიის სეპარატული „სახელმწიფოს" კატასტროფული ფინანსური მდგომარეობა.

მაკარტური მფარველობს მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეებს

პეკინი, 27 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო, ამონმების რა იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტოს იუწყება, რომ მაკარტურის შტაბთან შექმნილი სამხედრო დამნაშავეთა ვადამდე განთავისუფლების საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ხუვერმა განაცხადა, რომ 30 დღის შემდეგ განთავისუფლებული იქნებიან მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავე მამორუ სიგემიცუ და 66 სხვა სამხედრო დამნაშავე.

მთელ მსოფლიოში ფართოვდება მოძრაობა მშვიდობის დასაცავად

ავსტრიელი ქალები მშვიდობისათვის ბრძოლაში

ვენა. 26 მარტს ვენაში გაიმართა დემონსტრაცია და მიტინგი, რომელზეც ვენისა და ქვემო ავსტრიისა და ბურგენლანდის ახლო რაიონების ათეული ათასობით ქალმა გამოხატა თავისი ნება და მზადყოფნა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად.

დემონსტრანტებს მიჰქონდათ ტრანსპარანტები მათზე გამოხატული მშვიდობის მტრედებით და ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებდნენ მშვიდობის დაცვისაკენ, ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ: „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობის დაცვის კანონისათვის!", „ცოლებო, დედებო, იბრძოლეთ თქვენი ბავშვების უკეთესი მომავლისათვის!", „ძირს ახალი ომის გამჩაღებლები!".

მიტინგის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების დეპუტატის ჟუნგვირტოვას გამოსვლას, აგრეთვე რუმინეთის ქალთა დელეგაციის მეთაურის ელისაბედ კომნაკუსა და იტალიის ქალთა დელეგაციის მეთაურის პროფესორ ჯიოვანი პოგლიანის გამოსვლებს.

მიტინგის დამთავრებისას შესრულებული იქნა „ინტერნაციონალი".

გაზეთი „აკახატა" მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანების შესახებ

შანხაი, ტოკიოდან მიღებული ცნობით, გაზეთი „აკახატა", აღნიშნავს რა მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანებს, მოუწოდებს ფართო პროპაგანდა გასწიონ მშვიდობის დასაცავად მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილებზე მოაწყონ მშვიდობის დასაცავად ხმების შეგროვების კამპანია, ამხილონ სამხედრო მასალების წარმოებისა და სამხედრო მრეწველობის აღდგენის ფაქტები.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში იქმნება მშვიდობის დაცვის ადგილობრივი კომიტეტები

ფხენიანი. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი მშრომელთა ხალხმრავალი კრებები, რომლებზეც იღებენ გადაწყვეტილებებს მშვიდობის დაცვის ადგილობრივი კომიტეტების შექმნის შესახებ.

კრებების მონაწილეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის დასაცავად, მთელი ძალები წარმართონ ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის და გადაჭრით ამხილონ ვერაგული ზრახვები ახალი ომის გამჩაღებლებისა — ამერიკელ იმპერიალისტთა და მათი სამხრეთკორეელი აგენტურის — ლი სინ მანის ხროვისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული კორეის კომისიისა, რომელიც კორეის საშინაო საქმეებში ერევა.

მშვიდობის დაცვის ადგილობრივი კომიტეტები შექმნილია ფხენიანის საწარმოებში, კანვონის პროვინციის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ხამგენის, ჩრდილოეთ ფხენიანისა და ბევრ სხვა მაზრაში.

27 მარტი. (საკდესი).

დაიხურა მშვიდობის მომხრეთა ნორვეგიის კონგრესი

ოსლო, 27 მარტი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მომხრეთა ნორვეგიის კომიტეტის მიერ მოწვეულმა კონგრესმა.

კონგრესის მონაწილეებმა მოისმინეს ნორვეგიელი ეკონომისტის მორტენსენის მოხსენება ნორვეგიის მილიტარიზაციის პროგრამის შესახებ, რომელიც წამოაყენა ეგრეთწოდებულმა თავდაცვის დიდმა კომისიამ. „ამ პროგრამის განხორციელება, — თქვა მორტენსენმა, — მოასწავებს ნორვეგიელი ხალხის საარსებო დონის ახალ დაქვეითებას 15 პროცენტით". მომხსენებელმა მოუწოდა შეკრებილთ ყველა საშუალებით იბრძოლონ ასეთი პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა მოთხოვნით.

შემდეგ კონგრესმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. გადაწყდა მშვიდობის მომხრეთა ნორვეგიის კომიტეტი გარდაიქმნას „ნორვეგიაში მშვიდობის მომხრეთა" ორგანიზაციად. კონგრესმა აირჩია მშვიდობის მომხრეთა სრულიად ნორვეგიის კომიტეტი, რომელშიც შედის 27 კაცი. კონგრესმა მიიღო აგრეთვე მიმართვა ნორვეგიელი ხალხისადმი.

კონგრესის დასასრულს გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მიტინგი. სხვა ორატორთა შორის მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს კონგრესზე მყოფმა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წევრებმა აბატმა ბულიემ (საფრანგეთი), მწერალმა ლოკვუდმა (ავსტრალია) და ბორხარომ (ბრაზილია).

პაკისტანის პროფკავშირთა ფედერაციის გენერალური მდივნის განცხადება

კარაჩი, 26 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „პაკისტან ტაიმსი" იუწყება, პაკისტანის პროფკავშირთა ფედერაციამ თავისი გენერალური მდივნის მოჰამედ აფზალის მეშვეობით მოუწოდა პაკისტანის გლეხურ ორგანიზაციებს, სტუდენტთა დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ინტელიგენციასა და საშუალო კლასებს — 2 აპრილს მოთხოვნათა დღე მოაწყონ მთელ პაკისტანში.

„განვლილი რამდენიმე თვის მანძილზე,—განაცხადა მოჰამედ აფზალმა, — მთელ პაკისტანში მშრომელთა მასობრივი ბრძოლის მოწმენი ვიყავით. ეს ბრძოლა მზარდი სიღატაკის, უმუშევრობისა და ხელფასის შემცირების შედეგი იყო. საშუალო ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების ცრუ დაპირება, რასაც ახლანდელი მთავრობის ლიდერები, ე. ი. მუსლიმანთა ლიგის ლიდერები იძლეოდნენ, კორუპცია, მოგების წყურვილი, რეპრესიები, რასაც ახორციელებენ ხელისუფლების სათავეში მდგომი ადამიანები მილიონობით მშრომელთა მიმართ, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესებისათვის ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაქვემდებარება, — ყოველივე ეს თვალს უხელს ხალხს, ხალხი უკვე სწრაფად ერკვევა ჩვენი მმართველების რეალურ ხასიათში და იწყებს გააფთრებულ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. დადგა დრო, როცა პაკისტანის მთელმა ჩაგრულმა ხალხმა უნდა შექმნას ფართო დემოკრატიული ფრონტი თავისი პროფესიული, ეკონომიური და დემოკრატიული მოთხოვნების ბაზაზე და დაქსაქსული ბრძოლა გადააქციოს სახალხო დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის საყოველთაო მასობრივ ბრძოლად".

ინგლისელების ახალი მანევრები კირენაიკაში

კაირო, 27 მარტი. (საკდესი). ლიბიის კარგად ინფორმირებული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, რაც აქ ვრცელდება, ინგლისელ სამხედრო ხელისუფლებს კირენაიკაში განზრახული აქვთ შექმნან ეგრეთწოდებული „კირენაიკის არმია" ინგლისელ ოფიცერთა მეთაურობით. ამ არმიას გამოიყენებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საბრძოლველად, რაც ლიბიაში ძლიერდება ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ინგლისელების ხარჯი ამ არმიაზე წელიწადში 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება. ამ არმიის სარდალი ინგლისელი პოლკოვნიკი ლაიკინგი უკვე ჩავიდა ბენგაზში რამდენიმე დღის წინათ.

ლიბიის საზოგადოებრიობა დიდ აღშფოთებას გამოთქვამს კირენაიკაში ინგლისელთა ამ ახალი უკანონო მოქმედების გამო. ცნობილი გახდა, რომ ლიბიის პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „ეროვნულმა ასოციაციამ" ინგლისის ხელისუფალთ კირენაიკაში მტკიცე პროტესტით მიმართა იმის წინააღმდეგ, რომ მათ განზრახული აქვთ შექმნან ეგრეთწოდებული „კირენაიკის არმია" ტრანსიორდანიის არმიის („არაბთა ლეგიონი". — რედ.) მსგავსად.

იუწყებიან აგრეთვე, რომ „ლიბიის განთავისუფლების კომიტეტმა" ამასთან დაკავშირებით შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს:

„ლიბიის განთავისუფლების კომიტეტი" მკვეთრ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისელთა ზეგავლენით თვითნებურად დახურეს კირენაიკის ერთადერთი თავისუფალი ლიბიური გაზეთი „ალ-ვატანი", და იმას წინააღმდეგ, რომ განზრახულია შეიქმნას „კირენაიკის არმია", სანამ შესრულებულ იქნებოდეს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ლიბიის დამოუკიდებლობის შესახებ". დეპეშაში არის თხოვნა, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიონ ამ საქმეში, რათა შეჩერებულ იქნას ინგლისელთა მანევრები.

აკადემიკოს ნ. მარის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დღეებში ჩატარდა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ნ. მარის დაბადების 85-ე წლისთავისა და გარდაცვალების მე-15 წლისთავისადმი. სამეცნიერო სესიაზე მოხსენებები გააკეთეს პროფესორებმა — გ. ახვლედიანმა — „აკადემიკოს ნ. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისების საკითხები", ს. ჟღენტმა — „საბჭოთა ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა", ა. შანიძემ — „მოგონებანი აკადემიკოს ნ. მარის შესახებ", ვ. თოფურიამ—„აკადემიკოსი ნ. მარი და ქართველური ენების შესწავლა", ა. ბარამიძემ — „აკადემიკოსი ნ. მარი და „ვეფხისტყაოსნის" საკითხი", ს. ყაუხჩიშვილმა — „აკადემიკოსი ნ. მარი და საბერძნეთის უძველესი მოსახლეობის ისტორია და კულტურა", მ. ჩიქოვანმა — „აკადემიკოსი ნ. მარი და საბჭოთა ფოლკლორისტიკა", ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ლომთათიძემ — „აკადემიკოსი ნ. მარი და კავკასიური ენების შესწავლა", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ — „აკადემიკოსი ნ. მარი და ეთნოგრაფია".

ჭადრაკი

საქართველოს XI პირველობა

27 მარტს გათამაშდა მეცხრე ტური. ალამაზიანმა მოუგო ფრუიძეს, კირკიტაძემ ქარსელიძეს, ტიმოფეევმა მორჩილაძეს, გაგუამ არზუმანიანს. შიშოვ-მალაშხიას და ინწკირველ-ბუსლაევის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გადადებულ პარტიაში სოროკინს წასაგები პოზიცია აქვს გაგრაძესთან.

მეცხრე ტურის შემდეგ წინ არიან შიშოვი (7½ ქულა) და ბლიაძე (7 ქულა და ერთი გადადებული პარტია).

ავტომანქანების მძარცველები მიცემული არიან პასუხისგებაში

მილიციის ორგანოებმა შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს ავტომანქანების ქურდობისათვის: ვალერიან კონსტანტინეს-ძე ნინიკაშვილი (მცხოვრები ვერპარის, 24), თენგიზ ვასილის-ძე ყაველაშვილი (მცხოვრები ბოჭორიშვილის, 54), ანდრო მოსეს-ძე იაშჩინი (მცხოვრები სულხან-საბას, 10), თელო სერგის-ძე მათეოსოვი (მცხოვრები შაჰაბაძის, 16), ანზორ დიმიტრის-ძე ყაველაშვილი (სულხან-საბას, 8). მოპარული ავტომანქანების, მათი ნაწილების შესყიდვისათვის და მძარცველების ხელისშემწყობისათვის პასუხისგებაში მიცემული არიან მ. ი. კეცხოველი, გ. გოძიშვილი და სხვ.

ლექცია

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შედგება ამხ. ვ. ხიგუას ლექცია თემაზე: „ი. ბ. სტალინის ნაშრომი ლენინიზმის საფუძვლების შესახებ".

თეატრებში

29 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „ქეთო და კოტე" (მე-8 აბ. მე-10 სპექტაკლი); რუსთაველის სახელობის — „ლალატი" (მე-7 აბ. მე-8 სპექტაკლი); მარჯანიშვილის სახელობის — „ვინ არის დამნაშავე"; გრიბოედოვის სახელობის — „ლიუბოვ იაროვაია" (მე-12 აბ. მე-4 სპექტაკლი); სომხური დრამის — „მზის დაბნელება საქართველოში" (პრემიერა); მუსიკალური კომედიის — „თბილისის ცის ქვეშ"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „სიმპატიური ბელადი" (მე-13 აბ. 7 ს.).

30 მარტს: ოპერისა და ბალეტის — „რიგოლეტო" (მე-6 აბ. მე-11 სპექტაკლი); რუსთაველის სახელობის — „პირველი ნაბიჯი" (მე-13 აბ. მე-9 სპექტაკლი); მარჯანიშვილის სახელობის — „ხარატაიანთ კერა"; გრიბოედოვის სახელობის — „მოსკოვური ხასიათი" (მე-4 აბ. მე-5 სპექტაკლი); სომხური დრამის — „მზის დაბნელება საქართველოში"; მუსიკალური კომედიის — „მხიარული ქვრივი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელნო!

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მოგება, რომელიც თქვენს ობლიგაციას ხვდა, ისე რომ არ დახარჯოთ შრომა და დრო ობლიგაციების შესამოწმებლად მოგების ტირაჟთა ცხრილების მიხედვით.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ შეიძინოთ ერთ-ერთ შემნახველ სალაროში მოგებათა შემოწმების ბიუროს ბარათები, შეავსოთ ეს ბარათები, უჩვენოთ მათში სესხის სახელწოდება, ობლიგაციის სერია და თქვენი მისამართი და გაუგზავნოთ ან ჩააბაროთ საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველოსთან არსებულ მოგებათა შემოწმების ბიუროს (ქ. თბილისი, კეცხოველის ქუჩა № 7).

თვითეულ ობლიგაციაზე შეივსება ერთი ბარათი. ბარათის ღირებულება 25 კაპიკია.

ბიუროში შემოსული ბარათები შემოწმებულ იქნება აგრეთვე მოგებათა ყველა წინა ტირაჟის მიხედვით.

თუ თქვენს ობლიგაციას ხვდა მოგება, ბიურო დაგიბრუნებთ ბარათს და გაცნობებთ მოგების შესახებ.

მოგების მისაღებად ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, უნდა წარუდგინოთ შემნახველ სალაროს.

მოქალაქენო! დაზოგეთ თქვენი დრო და შრომა!
ისარგებლეთ მოგებათა შემოწმების ბიუროს მომსახურებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფესორ ნ. მახვილაძის სახელობის შრომის, ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კონსულტანტ-ოკულისტის თანამდებობაზე (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ან 15 წლის საექიმო სტაჟის მქონე ექიმი). კონკურსის ვადაა 15 დღე.

მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტში: თბილისი, კლ. ცეტკინის ქ. № 126.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო
„გლავკონდიტერი"

მარჯანიშვილის ქუჩისა და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში გაიხსნა „გლავკონდიტერის" ხაჩვენებელი საფირმო მაღაზია.

მაღაზიაში მოსკოვის, თბილისის და საბჭოთა კავშირის სხვა ფაბრიკების მაღალხარისხოვანი საკონდიტრო ნაწარმის დიდი ასორტიმენტი.

საქართველოს კოოპინკავშირის არტელ „ინკოოპტრანსის" საკუმულატორო საამქრო (ხეთაგუროვის ქუჩა № 10) იღებს სარემონტოდ „ზის", „გაზ", „მ-1" მარკის ავტომანქანებისა და მოტოციკლეტების აკუმულატორებს. აკუმულატორის რემონტის ღირებულების ანაზღაურება ხდება გადარიცხვით.

იმ დაწესებულებებთან, რომლებსაც დიდი რაოდენობით აქვთ შესაკეთებელი აკუმულატორები, სასურველია დაიდოს ხელშეკრულება.

შვილი ნუნუ მიტურიძე, სიძე ტარიელ გურგენიძე მშობლებით ეზეკით და მაშოთი, შვილიშვილები ლილი, თემურაზ იუწყებიან მარიამ იოსების ასულ მიტურიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-III, 8 ს., გამოსვენება 30-III, 5 ს. ორბელიანის, 8.

მეუღლე ეკატერინე, შვილები გიორგი, ქრისტეფორე, ნინო, სიძე იასონ, რძლები ვერა, ოლია და შვილიშვილები იუწყებიან იოსებ ივანეს-ძე ტალიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-III, 1-IV, 7 ს. გამოსვენება 2-IV, 3 ს. აკ. წერეთლის, 24.

ძმა ბარნაბ, რძალი ელენე, ძმისწულები თინა და ვალერიან იუწყებიან გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძის გარდაცვალებას.

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ექიმთა საზოგადოება იუწყებიან ვალერიან თედორეს-ძე მაქაცარიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-III ქ. ბათუმში.

ოლია, ვანო მგელაძეები, ვერა, გრიშა ჩემიები ოჯახებით იუწყებიან ჟუჟუ ბესარიონის-ძე ჯანჯღავას გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-III, ს. ძველ სენაკში (ცხაკაიას რაიონი).

ვ. მგელაძე, გ. ჩემია, მ. ლატარია, ქ. ცერცვაძე, ვ. ფანცულაია, ვ. გვათუა, ვ. დავითაია, დ. ხაინდრავა, გ. ტულუში, ტ. ქავთარაძე, ე. ესაკია იუწყებიან ჟუჟუ ბესარიონის-ძე ჯანჯღავას გარდაცვალებას.

მეუღლე მიტროფანე, შვილები შიო, დარიკო, ზურაბ, გიგლა, რძალი ანა, სიძე ვ. რუსია შვილებით, კონსტანტინე, კალისტინე გიორგაძეები იუწყებიან ლიდა ილარიონის ასულ გიორგაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IV, ს ციხესულორში (ვანის რაიონი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ჩუდეცკაიას და ს. ხადურს ნატალია კლიმენტის ასულ იოსელიანი-ჩუდეცკაიას გარდაცვალების გამო.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ს. გვარამაძეს მისი ძმის თემურის გარდაცვალების გამო.

„საქვაჭრობის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ვახვახიშვილს მისი დის ეკატერინე ნიკოლოზის ასულ ვახვახიშვილის გარდაცვალების გამო.

ნ. ქვანია, ვ. გურბელაძე, ე. მაისურაძე, ა. მიქაუტაძე, შ. მახარაძე, შ. თოფურიძე, ი. კობერიძე თანაგრძნობას უცხადებენ ე. ი. ჩერქეზიას იასონ რუხაძის გარდაცვალების გამო.

ძმა ნოე მხეიძე ოჯახით იუწყება ეკატერინე არჩილის ასულ მხეიძე-უგრეხელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-III, ქ. ქუთაისში.

შვილები თამარ, შალვა, ქეთო, სიძე ალექსანდრე კერესელიძე, შვილიშვილი გურამ იუწყებიან გიორგი სიმონის-ძე ამბოკაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 29-III, 5 ს. და 30 წ. მარჯანიშვილის, 32.

ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმის და კოოპერაციული სკოლის მასწავლებლები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ცალქალამანიძეს მისი დისწულის თემურ ილიას-ძე გვარამაძის გარდაცვალების გამო.

თ. ვაშაკიძე, ლ. ფირანაშვილი, თ. ღვინჯილია, მ. ბაქრაძე, ფ. ბებიაშვილი, ტ. კახაძე, გ. ბახტაძე თანაგრძნობას უცხადებენ ვალიდა და მარგო კვირკველიებს მათი მამის ნოე ბეჟანის-ძე კვირკველიას გარდაცვალების გამო.

ნ. ბერძენიშვილი, შ. ბურჭულაძე, ტ. ნიჟარაძე, მ. აბრამია, ნ. ვაშალომიძე, თ. გუგუშვილი, თ. ბებურიშვილი, ე. ბახტაძე, ა. ვიმბერგი, ლ. ნიკოლაძე, ე. საყვარელიძე, ქ. მაყაშვილი, ლ. ვარანცოვა თანაგრძნობას უცხადებენ ქ. იოსელიანს და დ. მერმანიშვილს ნატალია კლიმენტის ასულ იოსელიანის გარდაცვალების გამო.

შვილი ქენია, სიძე ვალერიან მშობლებით ზეგლარ, ლილი, შვილიშვილები ციალა, ლალი კაკულიები იუწყებიან იოსებ მელიქოვის გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-III, 8 ს. გამოსვენება 30-III, 5 ს. იაროსლაველის, 4.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ ვალერიან თევდორეს-ძე მაქაცარიას გარდაცვალებას.

გ. ლუარსაბოვი, მ. სანიკიძე, ა. შენგელია, დ. ქორიოლიანი, ა. ყანჩაველი, ლ. მაღლაფერიძე, შ. სოსელია თანაგრძნობას უცხადებენ ე. ი. ჩერქეზიას იასონ რუხაძის გარდაცვალების გამო.

თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ გ. თავბერიძეს მისი ძმის შალვა სილოვანის-ძე თავბერიძის გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00134